PN-ACJ-496
105980

Unites States Agency for International Development
Georgia Power Sector Reform Program

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო
განვითარების სააგენტო
საქართველოს ენერგო სექტორის რეფორმის პროგრამა

ელექტრო გამანაწილებელი კომპანიების

კომერციალიზაციის გეგმა

COMMERCIALIZATION PLAN
FOR
ELECTRIC DISTRIBUTION COMPANIES

მოამზადა:
ჰაგლერ ბაილი
საქართველო, თბილისი
ლუქსემბურგის ქ. 25

(995-32) 330-804

ივლისი, 1999

Prepared By:
Hagler Bailly,
25, Luxemburg str.
Tbilisi, Georgia

(995-32) 330-804

July, 1999

ელექტრო გამანაწილებელი კომპანიების კომერციალიზაციის გეგმა

ეს დოკუმენტი მომზადებულია ჰაგლერ ბაი კონსალტინგის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, როგორც სახელმძღვანელო საქართველოს ელექტრო გამანაწილებელი კომპანიებისათვის, რამეთუ ისინი სცდილობენ განავითარონ ხანგრძლივი კომერციული ოპერაციები.

საქართველოს ელექტროსისტემის საიმედობის განმტკიცება დამოკიდებულია ელექტროგამანაწილებელი კომპანიების შესაძლებლობაზე შეამცირონ ელექტრო კარგვები და სრულად მოახდინონ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება. არსებულ ვითარებაში, ბევრი გამანაწილებელი კომპანია ვერ ახერხებს ეფექტურად გააკონტროლოს კარგვები და ამოიღოს მომხმარებლისაგან თანხები, რაც იწვევს გამანაწილებელი კომპანიების და სრულად ენერგო სისტემის ფინანსურ პრობლემებს.

ქვითრების გამოწერისა და თანხების აკრეფვის პროცედურის გარდაქმნით და გარკვეული დაბალი ღირებულების მოწყობილობის შეცვლით, გამანაწილებელ კომპანიებს შეუძლიათ საგრძნობლად გაზარდონ თანხების ამოღების დონე და გააკონტროლონ კარგვები. ეს მისცემს საშუალებას კომპანიებს გადაიხადონ ელექტროენერგიის ღირებულება, შეინახონ ქონება, გადაიხადონ ხელფასები და გადასახადები.

დანართი ა "კომერციული რეფორმების ძირითადი ნაბიჯები" მოიცავს ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის დამატებას.

კომერციალიზაციის პროცესი.

"კომერციალიზაციაში" ჩვენ ვგულისხმობთ რომ საწარმომ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მიიღოს საკმარისი შემოსავლები რათა დაფაროს საკუთარი ხარჯები. საქართველოში დღეს-დღეისობით ელექტროგამანაწილებელ კომპანიებზე მიწოდებული ელექტროენერგიის დაახლოებით 40% იკარგება კომერციული და ტექნიკური კარგვების სახით. ეს გამოწვეულია ელექტროენერგიის მომხმარებელთა მრიცხველებში არ გადინებით, ან არასწორი აღრიცხვით, ან კიდევ არასწორი შეფასებით. დამატებით, ელექტროენერგიაზე გადახდილი თანხა რომელიც ფორმდება წარმოადგენს რეალურად გადასახდელი თანხის მცირე პროცენტს. როგორც წესი ამის შედეგია ის რომ კომპანიები კარგავენ საგრძნობ თანხებს. შემდეგ ღონისძიებებს შეუძლიათ განამტკიცონ და გააუმჯობესონ არსებული მდგომარეობა:

კომერციული კარგვების შემცირება

- განცალკევდეს მრიცხველების წაკითხვისა და თანხების ამოღების ფუნქციები
- რეგულარულად წაიკითხოს ყველა მრიცხველი (ყოველთვიურად)
- მოხდეს მომხმარებლების_ქვითრების ყოველთვიური გამოწერა
- მომხმარებლებმა ელექტროენერგიის ღირებულება გადაიხადონ პირდაპირ კომპანიაში ან ბანკში
- მოთხოვნილი იქნას სრული და რეგულარული(ყოველთვიური) გადახდა მოხმარებულ ელექტროენერგიაზე
- გაითიშოს ყველა მომხმარებელი ვინც არ გადაიხდის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს
- განცალკევდეს მომხმარებელთა ჩართვებისა და გამორთვების ფუნქციები
- ჩაიჭრას ყველა უკანონო მიერთება
- გადაადგილდეს ან დამონტაჟდეს მრიცხველები ყველა მიერთების ადგილებში რომლებიც არ აღირიცხებიან

ტექნიკური კარგვების შემცირება

- თავიდან დაყალიბდეს ყველა მრიცხველი რათა ვუზრუნველყოთ მათი სისწორე
- შეიცვალოს ყველა მრიცხველი რომლებიც სწორად არ მუშაობენ
- გადატანილი იქნას მრიცხველები დაცულ ადგილებში, რაც მოგვცემს რეგულარული (ყოველთვიური) შემოწმების საშუალებას

ყველა აღნიშნული რეკომენდაცია უნდა იყოს გამოყენებული რათა უზრუნველყოს წარმატებული კომერციალიზაცია. ბევრი ამ რეკომენდაციებისა არ მოითხოვს ფულის დახარჯვას, მათი წარმატებული გამოყენებისათვის. თუ კი ეს ღონისძიებები იქნება გამოყენებული, ჩვენი შეფასებით კომერციული და ტექნიკური კარგვები შეიძლება შემცირდეს შესყიდული ელექტროენერგიის დაახლოებით 10%-მდე. შემდგომი მასალა მოიცავს თითოეული ამ რეკომენდაციის უფრო დაწვრილებით და სპეციფიურ ინფორმაციას.

<u>კომერციული კარგვების შემცირება</u>

- განცალკევდეს მრიცხველების წაკითხვისა და თანხების ამოღების ფუნქციები

  განცალკევდეს ფიზიკური პროცესი მოხმარებელთა მრიცხველების წაკითხვისა და ფინანსური პროცესი თანხების ამოღებისა. ფუნქციების ასეთი განცალკევების გარეშე, ყოველთვის იქმნება საშულაება მომხმარებელთა მოხმარებისა და გადახდების ჩვენების დამახინჯებისა. ამან შეიძლება გამოიწვიოს ნაღდი ფულის შემოსავლების მნიშვნელოვანი კარგვა. შემდეგი ნაბიჯები აღწერენ თუ როგორ გამოვიყენოთ ეს პროცედურები:

- წაიკითხოს ყველა მრიცხველი რეგულარულად (ყოველთვიურად)

  წაიკითხოს თითოეული მომხმარებლის მრიცხველი ყოველ თვე და დაფიქსირდეს არსებული წანაკითხი. ეს არ უნდა ხდებოდეს კალენდარული თვის პირველ ან ბოლო დღეს. ეს უნდა ხორციელდებოდეს რეგულარულად 30 დღის განმავლობაში თითოეული მომხმარებლისათვის ან მომხმარებელთა ჯგუფისათვის, ერთ დღეს ერთი ჯგუფის მრიცხველების წაკითხვით და მეორე დღეს მეორე ჯგუფის, და ასე შემდეგ თვის განმავლობაში. ეს არის სტანდარტული პრაქტიკა მთელს მსოფლიოში.

  წაკითხული მრიცხველის ჩვენებები უნდა იყოს ჩაწერილი მელნის კალმით მრიცხველების ტექნიკოსების ან ინსპექტორების მიერ, და ჩანაწერების წიგნები უნდა გადაეცეს საბუღალტრო განყოფილებას რეგულარულად. ასევე სასურველია დაინიშნოს სხვადასხვა ინსპექტორები ან მრიცხველების წამკითხველები ყოველ თვე, რათა მოხდეს შენობების ან მომხმარებელთა

ჯგუფების მრიცხველების წაკითხვა. ეს დაგვეხმარება თავი ავარიდოთ ჩვენებების არასწორ ჩაწერას.

- მოხდეს მომხმარებლების_ქვითრების ყოველთვიური გამოწერა

  მოხდეს ყოველთვიური ქვითრების გამოწერა მომხმარებლებზე, რომელიც ეფუძნება მოხმარების არსებულ ჩანაწერებს და მიმდინარე ტარიფს. სადაც არ არის საშუალება აწარმოოთ არსებული მოხმარების ჩაწერა, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ მარეგულირებელ კომისიას ფიქსირებული გადასახადის შემოღებაზე ყველა მომხმარებლისათვის რომლებიც მარაგდებიან სპეციალური კომერციული ფიდერებიდან, და რომელიც ეფუძნება მრიცხველზე მოწოდებული მთლიანი ელექტროენერგიის რაოდენობას მინუს ნორმალურად დათვლილი ტექნიკური კარგვები. ქვითრები უნდა იყოს დათვლილი და გამოწერილი კომპანიის საბუღალტრო განყოფილებაში სადაც ქვითრებისა და გადახდების სწორი აღრიცხვიანობა შეინახება. მრიცხველების ტექნიკოსებმა, ინსპექტორებმა ან კონტროლიორებმა არასოდეს არ უნდა გამოწერონ ქვითრები, ისინი უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი რომ ქვითრები რომლებიც დამზადდა ბუღალტერიაში მიეწოდა მომხმარებელს.

- მომხმარებლებმა ელექტროენერგიის ღირებულება გადაიხადონ პირდაპირ კომპანიაში ან ბანკში

  მოითხოვეთ რომ მომხმარებელმა გადახდა მოახდინოს პირდაპირ საწარმოს სამუშაო ოფისში (სალაროში) ან პირდაპირ საწარმოს საბანკო ანგარიშზე. გადახდები არასდროს არ უნდა მოხდეს პირდაპირ ინსპექტორზე, რომელსაც აგრეთვე შეუძლია შეცვალოს მრიხცველის ჩვენება.

  დაიბეჭდოს დუბლირებული ქვითრები. როდესაც მომხმარებელი გადაიხდის ქვითარს, დაერტყას ბეჭედი ორივე ასლს "გადახდილია". მოლარემ შეინახოს ერთი ასლი თავისთან და მეორე მისცეს მომხმარებელს. ეს დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ გადახდების ჩვენებების დამახინჯება.

- მოთხოვნილი იქნას სრული და რეგულარული(ყოველთვიური) გადახდა მოხმარებულ ელექტროენერგიაზე

  ჩამოყალიბდეს ყველა მომხმარებლის საბუღალტრო აღრიცხვა, ტექნიკური ინფორმაციის ჩათვლით მრიცხველის ნომერი, ბოლო

შემოწმების თარიღი, გამოწერილი ანგარიში, გადახდილი ანგარიში, არ გადახდილი ანგარიში

- გაითიშოს ყველა მომხმარებელი ვინც არ გადაიხდის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს

  თუკი მომხმარებელი არ გადაიხდის თავის ანგარიშს მრიცხველის შემდეგი წაკითხვის თარიღისათვის, დაევალოს მრიცხველის ტექნიკოსს ან ინსპექტორს ინდივიდუალურად გამორთოს მომხმარაბელი მრიცხველის შემდეგი წაკითხვის დროს. (შენიშვნა: ამას შეიძლება დასჭირდეს მმომხმარებლის ინდივიდუალური დენმკვეთების დამონტაჟება. გთხოვთ იხილოთ ქვემოთ მოცემული ტექნიკური რეკომენდაციები).

- განცალკევდეს მომხმარებელთა ჩართვებისა და გამორთვების ფუნქციები

  ხელახლა არ ჩაირთოს მომხმარებელი თუკი არ იგი წარადგენს დავალიანების სრული გადახდის ქვითარს. ხელახალი ჩართვა უნდა მოხდეს კვალიფიცირებული ინსპექტორის მიერ რომელიც არ არის დანიშნული მრიცხველი წამკითხველად, და მხოლოდ ბუღალტერიისა და მთავარი ინსპექტორის წერილობითი ნებართვით.

  ინსპექტორებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა კომერციულ კარგვებზე მათ სამუშაო რაიონში. თუ კარგვები გაიზრდება დასაშვებ დონეზე მაღლა, მაშინ განთავისუფლდეს ინსპექტორი და ხელახლა შემოწმდეს მთელი სისტემა, რათა დავრწმუნდეთ რომ გამორთული მომხმარებლები არ არიან ჩართულები უნებართვოდ, და არ არის გაყვანილი უნებართვო სადენები.

- ჩაიჭრას ყველა უკანონო მიერთება

  რასაკვირველია, უკანონო მიერთება საწარმოსათვის ნიშნავს უფასოდ გაცემულ ელექტროენერგიას. ეს არის პარვა და უნდა შეწყდეს სასწრაფოდ. თუ ასეთი მიერთება იქნება აღდგენილი, მაშინ პარვის ფაქტი უნდა იყოს შეტყობინებული ადგილობრივ სამართლებრივი ორგანოებს და პიროვნება რომელიც სარგებლობს ასეთი მიერთებით უნდა გადაეცეს სამართალგებაში.

- გადაადგილდეს ან დამონტაჟდეს მრიცხველები ყველა მიერთების ადგილებში რომლებიც არ აღირიცხებიან

არ არის სასურველი მიეწოდოს ელექტროენერგია უმრიცხველო, აღურიცხავ მიერთების ადგილს. იმ შემთხვევაშიც როდესაც ფიქსირებული გადასახადი არის შემოღებული, ჩნდება არსებული მოხმარების გაკონტროლების პრობლემები, აგრეთვე ძნელია გარჩევა თუ ვინ სარგებლობს ასეთი მიერთებით. ამან შეიძლება გამოიწვიოს თანხების კარგვები საწარმოსათვის. შეძლებისდაგვარად, საჭიროა ყველა მომხმარებელს ჰქონდეს კომერციული მრიცხველი და დენმკვეთები რომლებიც დამონტაჟებულები იქნებიან კვების ინდივიდუალურ ხაზზე.

ტექნიკური კარგვების შემცირება

- თავიდან დაყალიბდეს ყველა მრიცხველი რათა ვუზრუნველყოთ მათი სისწორე

  ძალინ მნიშვნელოვანია, შეძლებისდაგვარად, რომ ვუზრუნველყოთ მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენრგიის სწორი გაზომვა, აღრიცხვა. მრიცხველები რომლებიც წლების განმავლობაში არ დაყალიბებულან, ზრდიან არსებული მოხმარების მცდარი ჩვენების შესაძლებლობას, რაც გამოიხატება კომპანიისათვის შემოსავლების კარგვით.

- შეიცვალოს ყველა მრიცხველი რომლებიც სწორად არ მუშაობენ

  მრიცხველების რეგულარული შემოწმების პროგრამის გამოყენებამ, შეიძლება გამოაჩინოს არმომუშავე მრიცხველები. ესეთი მრიცხველები უნდა შეიცვალოს თანამედროვე უფრო მაღალი სისწორის კლასის მრიცხველებით და რომელთაც არ ექნებათ უკუჩვენება, რაც შეაჩერებს მრიცხველის უკუსვლას. ახალი ელექტრონული მრიცხველების უკვე არსებობენ საქართველოში კონკურენტუნარიან ფასებში. ეს მრიცხველები არა მარტო აჩერებენ უკუსვლას, არამედ მნიშვნელოვნად ზრდიან მრიცხველის სისწორეს საერთო დატვირთვის დროს.

- გადატანილი იქნას მრიცხველები დაცულ ადგილებში, რაც მოგვცემს რეგულარული (ყოველთვიური) შემოწმების საშუალებას

დანართი ბ წარმოადგენს ელგაყვანილობის განახლებისა და მრიცხველების გადაადგილების პროცესს დიდ საცხოვრებელ კორპუსებში. ეს სამუშაოები უნდა ჩატარედეს იმ აზრით რომ შეწყდეს გამანაწილებელი სისტემის უნებართვო შეხება და შემცირდეს კომერციული კარგვები. შემდეგი ნაბიჯები თავს უყრის ამ პროცესს.

1. გადაადგილდეს ყველა საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მრიცხველი მყარ დახურულ ყუთებში, რომლებიც დაიდგმება მომხმარებლის ბინის გარეთ. ყუთები უნდა იყვნენ საკმაოდ მყარი რათა გაუძლონ უნებართვო შეხებას და დაზიანებას. საწარმომ უნდა გაუწიოს კონტროლი ამ ყუთების ყველა გასაღებს და საკეტს.

2. ჩაიჭრას და გატანილი იქნას ყველა ძველი სადენები საცხოვრებელი ბინებიდან. ახლიდა ჩაიდოს ახალი სადენები მრიცხველიდან ბინამდე, ჩაიდოს ისინი რკინის გაყვანილობაში და დაილუქოს სადენების შეერთების ყველა ყუთი სართულებზე რათა შევაჩეროთ მათი დაზიანება, უკანონო შეხება და მრიცხველის გვერდის ავლა.

3. დამონტაჟდეს ინდივიდუალური გამთიშველები მომხმარებლის მრიცხველის ქვეშ, ისე რომ არგადახდის შემთხვევაში ისინი ინდივიდუალურად იქნენ გათიშულნი.

4. ვუზრუნველყოთ ყველა კაბელის ქვესადგურსა და მომხმარებლის მრიცხველს შორის მიწაში ჩადება ან მათი ჰაერში ისეთ სიმაღლეზე გატარება რომ არ მოხდეს უნებართვო მიერთება. თუ ეს არ არის შესაძლებელი, ინდივიდუალური სადარბაზოს კაბელები ჩაიდოს რკინის გაყვანილობაში რათა თავიდან ავიცილოთ უნებართვო მიერთება.

5. დაიხუროს სადარბაზოს კაბელების ყუთები და დაუმონტაჟდეს მცველები, მაშინაც როცა ისინი არიან მომხმარებლის მრიცხველისა და საცხოვრებლის ფარგლების შემდეგ.

<u>სხვა ჩასატარებელი რონისძიებები</u>

უნდა ჩატარდეს შემდეგი დამატებითი ღონისძიებები რათა გადამოწმდეს უკვე ჩატარებული საქმიანობის ეფექტურობა რაც შემდგომში გაუწევს დახმარებას კომერციალიზაციის პროცესს.

1. დაიდგას შესამოწმებელი მრიცხველი თითოეული შენობისათვის ან ფიდერისათვის, რათა მოხდეს ინდივიდუალური მომხმარებლის მიერ სრული მოხმაერბის გადამოწმება.

2. ჩაუტარდეს რემონტი სადენების გაყვანილობას ქვესადგურიდან შენობამდე რათა გამოირიცხოს ზედმეტი სადენების არსებობა რომლებიც საწარმოს მიერ არ არიან სპეციალურად დამონტაჟებული.

3. ჩაუტარდეს რემონტი ყველა ქვესადგურს (6/10კვ-0.4კვ) რათა აღიკვეთოს უნებართვო შეღწევა და მიერთება.

4. განიხილოს მომხმარებელთა მოხმარების მიმდინარე მდგომარეობა და დადგინდეს მომხმარებლების არ გადახდილი ვალები. დაიწყოს მოლაპარაკება რათა ამოღებული იქნას წინა პერიოდის შემოსავლები ან დაიწყოს კანონიერი ქმედებები რათა ჩატარდეს ასეთი ამოღებები.

5. ხელახლა დადასტურდეს წერილობით ოფიციალური შეთანხმება საწარმოსა და მომხმარებელს შორის, და მოთხოვნა მთელი მოხმარების სრული გადახდისა. დავრწმუნდეთ რომ ყველა მომხმარებელი სპეციალურად ინფორმირებულია წერილობით, რომ რეგულარული და სრული არგადახდის შემთხვევაში ელექტროენერგია არ იქნება მიწოდებული. დანართი დ-"ელექტროენერგიის მიწოდება ინდივიდუალურ მომხმარებელზე"

6. წარმოგვიდგენს მაგალითს მომხმარებელთან შეთანხმების პროექტისა, რომელიც შედგა რუსთავის გათვალისწინებით.

7. დადგინდეს ყველა მსხვილი კომერციული და ინდუსტრიული მომხმარებელი და უმალვე შემოღებული იქნას სისტემატიური შემოწმება მათი ელექტრო გაყვანილობისა რათა თავი დავიზღვიოთ უნებართვო მიერთებებისაგან, რომ ყველა შეერთება აღირიცხება მრიცხველებში და მრიცხველები სწორად არიან დაყალიბებული. გადაადგილდეს მრიცხველები დახურულ რკინის ყუთებში მომხმარებლის კუთვნილი ფართის გარეთ ან გამანაწილებელ ქვესადგურში. ხელახლა დაყალიბდეს და დაილუქოს დაყალიბების შემდეგ.

<u>კომერციალიზაციის პროცესის შემდგომი რეკომენდაციები</u>

გვჯერა რომ ადგილობრივ მართველობას, საწარმოთა ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს და მომხმარებლებს სრულად უნდა გააჩნდეთ ინფორმაცია კომერციალიზაციის პროცესზე. დანართი გ-"საზოგადოების ინფორმირების პროგრამა" წარმოადგენს სხვადასხვა სახის მიმართვებს

საზოგადოებისადმი რასაც შეუძლია დაეხმაროს გამანაწილებელ კომპანიას.

მომსახურე პერსონალის ფუნქციები

კომერციალიზაციის პროცესის წარმატებულად ჩასატარებლად საჭიროა რომ პერსონალი სრულად იყოს ინფორმირებული თავიანთ მოვალეობა პასუხისმგებლობებზე, ზოგიერთი მათგანი შესაძლებელია ოდნავ შეიცვალოს; დანარჩენები შეიძლება იყოს სრულიად ახალი. დანართი ე- წარმოგვიდგენს სამუშაოთა აღწერილობას პერსონალისათვის რომლიც შეიძლება დაკავებული იყოს კომერციალიზაციის პროცესში.

ფინანსირება

არ არის რეკომენდირებული რომ საწარმოებმა გაზარდონ თავიანთი ვალები რათა დააფინანსონ შემოთავაზებული გარდაქმნები. უბრალოდ მრიცხველების რეგულარული წაკითხვით და ქვითრების გამოწერით ყველა მომხმარებლებზე, ანაგროვები შეიძლება გაიზარდოს იმდენად რომ შეძლოს დააფინანსოს მსხვილი მომხმარებლების მრიცხველების გამოტანის პროექტის საწყისი ეტაპები. როცა მსხვილი მომხმარებლების მრიცხველები თავიდან არიან დაყალიბებული და მიმდინარეობს ქვითრების გამოწერის პროცესი, დაბლა იწევს კარგვები და ამოღება იმატებს, ყველაფერი ამის შედეგი იქნება ის რომ შემოსული თანხები შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო მეტი მომხმარებლების მრიცხველების გამოსატანად, და ეს გაგრძელდება მანამ სანამ ყველა მომხმარებლის მრიცხველი არ იქნება გამოტანილი.

რეგულირება და ტარიფები

საქართველოს ენერგეტიკის ეროვნული კომისია ადგენს ელექტროენერგიის ტარიფებს. სემკ-მა აგრეთვე უნდა დაამტკიცოს ნებისმიერი სახის შეთანხმება რომელიც მომხმარებელთან საწარმოს სურს რომ აწარმოოს. ელექტრო კომპანიის პასუხისმგებლობაშია უზრუნველყოს ფასები და მუშაობის ეფექტურობა ისე რომ ნებისმიერი ტარიფის ზრდა იყოს გამართლებული. ეს ნიშნავს რომ კომპანიას უნდა ჰქონდეს საშუალება წარუდგინოს სემკ-ს სათანადო დოკუმენტაცია. გამართული და სწორი საბუღალტრო სისტემის გამოყენებით, ყველა მომხმარებლის რეგისტრაციის ჩათვლით, დეტალური ინფორმაციით. იქმნება საშუალება ზუსტად დასაბუთდეს მომავალში ტარიფების გაზრდის მოთხოვნა.

შეჯამება

პორგრამის უმეტესი ნაწილი რომელიც აღწერილია წინამდებარე გვერდებზე ჩამოყალიბებულია და გამოცდილია საქართველოში ჰაგლერ

ბაი-ს და USAID-ს მიერ როგორც ნაწილი კომერციალიზაციის საცდელი პროექტისა რომელიც ჩატარდა ქალაქ რუსთავში. ამგვარი რეკომენდაციებეს გამოყენებამ საშუალება მოგვცა შეგვემცირებინა მთლიანი კარგვები დაახლოებით 10%-მდე და გაგვეზარდა მომხმარებლიდან ამოღებები დაახლოებით 95%-მდე. ვიმედოვნებთ რომ ეს ინფორმაცია მისცემს საშუალებას სხვა ქართულ ელექტროკომპანიებს გააუმჯობესონ თავიანთი კომერციული საქმიანობა, რამეთუ ისინი მიიწევენ ფინანსური მდგრადობისა და მომავალი პრივატიზაციისაკენ. აგრეთვე ვიმედოვნებთ რომ ეს ინფორმაცია დაეხმარება უფრო სანდო ელექტრომომარაგებას მთელს საქართველოში და შეიტანს თავის წვლილს სტაბილური ეკონომიკის დამყარებაში და ქართველი ხალხის ცხოვრების დონის აწევაში.

დანართები:

დანართი ა –"კომერციული რეფორმების ძირითადი ნაბიჯები"

დანართი ბ –"საამშენებლო სპეციფიკაციები"

დანართი გ –"ელექტროენერგიის მიწოდება ინდივიდუალურ მომხმარებელზე"

დანართი დ –"საზოგადოების ინფორმირების პროგრამა"

დანართი ე – "სამუშაოთა აღწერილობა პერსონალისათვის"

დანართი ა

განაცხადი ელექტრო მომსახურებაზე

<u>მიზანი:</u>

დამყარდეს კონტრაქტული ურთიერთობანი საწარმოსა და მომხმარებელს შორის; წერილობითი ფორმით დადგინდეს მომხმარებლის მიერ ელექტრო მომსახურების პირობები.

<u>პოლიტიკა:</u>

1. ელექტრო მომსახურება მომხმარებელს უნდა გაეწიოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მომხმარებელი აკეთებს მომსახურების განაცხადს და ხელს აწერს შეთანხმებას, საწარმოს წესებისა და პირობების შესრულებაზე. საწარმოში არსებულ დოკუმენტებში უნდა ფიგურირებდეს ოჯახის უფროსის სახელი და გვარი.

2. არსებული მომხმარებლებს წარედგინებათ განაცხადის ასლი და მოეთხოვებათ მისი შევსება და საწარმოში ან შესაბამის გადასახად პუნქტში მისი წარდგენა. ნებისმიერმა მომხმარებელმა, რომელიც სარგებლობს სახელმწიფო შეღავათებით უნდა შეავსოს ფორმა და წარადგინოს შეღავათის საბუთები 30 დღის განმავლობაში, სხვა შემთხვევაში იგი ჩაითვლება მომხმარებლად, რომელიც არ სარგებლობს არანაირი შეღავათებით.

3. განაცხადს ხელს უნდა აწერდეს ოჯახის უფროსი, რომელიც პასუხისმგებელია ელექტროენერგიის გადასახადებზე. ოჯახის წევრების სახელები და მათი პასპორტის ნომრები მოცემული უნდა იყოს განაცხადზე.

4. განაცხადზე უნდა იყოს ადგილი, სადაც არსებობის შემთხვევაში უნდა ჩაიწეროს შეღავათი, რომლითაც სარგებლობს მომხმარებელი, ასევე უნდა იყოს ადგილი, რათა ჩაიწეროს იმ საბუთის ნომერი და თარიღი, რომლის საფუძველზეც მომხმარებელი სარგებლობს შეღავათით. ეს ადგილი შეივსება საწარმოს წარმომადგენლის მიერ.

5. განაცხადში მომხმარებელს გარკვევით უნდა მოეთხოვოს მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური გადახდა, იმის გათვალისწინებით, რომ არ გადახდა გამოიწვევს ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას. განაცხადში ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელს ეკრძალება ელექტროენერგიის მრიცხველის გვერდის ავლით მიღება და ასეთი შემთხვევების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს საწარმოს.

6. ოჯახის უფროსი, რომელიც აწერს ხელს ელექტროენერგიის ქვითარს პასუხისმგებელია მათ სისწორეზე. თუ პიროვნება იცვლის საცხოვრებელ ადგილს, და სურს განთავისუფლდეს ყოფილი საცხოვრებელი ადგილზე ელექტროენერგიის ქვითრების პასუხისმგებლობიდან, მაშინ მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს საწარმოს და გააცნოს მას მისი მემკვიდრის სახელი. თუ ახალი მომხმარებელი არ მოაწერს ხელს განაცხადს და არ აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას ელექტროენერგიის ქვითრებზე, მაშინ მას შეუწყდება მიწოდება.

7. როდესაც მომხმარებელი გადადის ახალ საცხოვრებელ ადგილზე, მას უნდა მოეთხოვოს ახალ საცხოვრებელ ადგილზე მომსახურების განაცხადზე ხელის მოწერა. მომხმარებელს ახალ საცხოვრებელ ადგილზე არ მიეწოდება

ელექტროენერგია მანამ, სანამ იგი არ გადაიხდის ძველ საცხოვრებულ ადგილზე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს.

8. თუ მომხმარებელი არ გადაიხდის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს და მას შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, იგი არ განახლდება ახალი მომხმარებლის სახელზე, თუ იგი იყო წინა მომხმარებლის ოჯახის წევრი.

9. თუ არგადამხდელი ოჯახის უფროსი გადადის ახალ ადგილზე, სადაც ხდება, როგორც ელექტროენერგიის მიწოდება, ასევე მისი საფასურის დროული გადახდა, მისი იქ ყოფნა არ გამოიწვევს ელექტროენერგიის შეწყვეტას.

<u>პროცედურები:</u>

1. ანგარიშებზე ზედამხედველმა უნდა შეიმუშავოს და დააგზავნოს განაცხადები საწარმოში და გადასახად პუნქტებში. პოლიტიკის პირობები დაბეჭდილ უნდა იქნეს განაცხადის უკანა მხარეს.

2. ანგარიშებზე ზედამხედველმა უნდა შეიმუშავოს მუდმივი ფაილი, სადაც ალფაბეტის მიხედვით, ჩაიწერება აქტიურ მომხმარებელთა სახელები და მონაცემები. ცალკე ფაილი უნდა შემუშავდეს, რომელშიც შევა პასიური მომხმარებელთა სია და ვალები.

   ა. მომხმარებლის გარდაცვალების, სხვა ადგილზე გადასვლის, ან პასუხისმგებლობის სხვა ნიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, მისი მონაცემები აქტიურ მომხმარებელთა სიიდან ამოღებულ უნდა იქნეს და მოხდეს მისი შეტანა პასიურ მომხმარებელთა ფაილში.

   ბ. თუ მომხმარებელი გამორთულია ელექტროენერგიით მომსახურებიდან არ გადახდის მიზეზით, მისი მონაცემები ამოღებულ უნდა იქნეს აქტიურ მომხმარებელთა ფაილიდან და შევიდეს ვალების ფაილში.

გ. თუ ყოფილი მომხმარებელი მიმართავს ელექტროენერგიით მომსახურებაზე თავის სახელზე, მაშინ მას მოეთხოვება ახალი განაცხადის შევსება. ძველი განაცხადი ამოღებულ უნდა იქნეს პასიურ მომხმარებელთა ან ვალების ფაილიდან და გადატანილ იქნეს აქტიურ მომხმარებელთა ფაილში.

დ. თუ აქტიური მომხმარებელი გადადის ახალ საცხოვრებელ ადგილზე, მას მოეთხოვება ახალი განაცხადი ახალი ადგილისთვის. მისი ძველი განაცხადი ძველი ადგილისთვის უნდა დაეკროს ახალი განაცხადის უკანა მხარეს.

3. მომხმარებელთათვის განაცხადების დაგზავნის საქმეს უნდა ასრულებდეს მრიცხველთა წამკითხველი. თითოეულ ოჯახს უნდა მიეწოდოს ერთი განაცხადი. მრიცხველის წამკითხველმა განაცხადზე უნდა მიუთითოს განაცხადის ანგარიშის ნომერი და მისამართი, მაგრამ შეუვსებელი უნდა დატოვოს ადგილი, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის სახელისთვის.

4. შევსებული განაცხადები მომხმარებელმა შეიძლება დააბრუნოს საწარმოში ან შესაბამის გადასახად პუნქტში. ისინი ასევე შეიძლება მიეცეთ მრიცხველის წამკითხველს ან ანგარიშის მიმტანს, როცა ისინი გამოცხადდებიან მომხმარებელთან. პიროვნებამ, რომელიც მომხმარებლისგან იბარებს განაცხადს, ყურადღებით უნდა შეამოწმოს იგი რათა მომავალში არ

წარმოიშვას გაუგებრობანი. მიმღებმა პირმა, შემოწმების შემდეგ, ხელი უნდა მოაწეროს და დასვას შესაბამისი ადგილი ამისთვის განკუთვნილ ადგილზე.

5. ყველა შევსებული განაცხადი უნდა გადაეცეს კომპიუტერის ოპერატორს ანგარიშების მიმღებ სამსახურში. ოპერატორმა მომხმარებელთა ფაილში უნდა შეიტანოს შემდეგი მონაცემები:

   ა. დაადასტურო ან შეასწოროს მომხმარებლის სახელი. კომპიუტერული მონაცემები უნდა შეესატყვისებოდეს განაცხადში შეტანილ მონაცემებს.

   ბ. დაადასტუროა ან შეასწოროს მომხმარებლისადმი გამოყენებადი ტარიფი. ტრაიფის კოდი შეიტანოს განაცხადში შესაბამის, გამოყოფილ ადგილზე. განაცხადზე და კომპიუტერის ფაილში არსებული სატარიფო კოდები უნდა იყოს იდენტური.

   გ. თუ მომხმარებელი სარგებლობს შედავათებით და განაცხადზე დართულია შესაბამისი დოკუმენტი, მაშინ ამ დოკუმენტის ნომერი ოპერატორმა უნდა შეიტანოს კომპიუტერში სპეციალურ ადგილზე, რომელსაც ეწოდება „ბანკის ანგარიშის ნომერი" გვერდზე „გვერდი 1 გვერდი 5-იდან"

განაცხადი სააბონენტო ელექტროენერგეტიკულ მომსახურებაზე

ტარიფი _____

სახელი _____ ანგარიშის ნომერი _____

მისამართი _____ თარიღი _____

მოვითხოვ ელექტროენერგიის მოწოდებას ჩემი ოჯახისთვის. თანახმა ვარ დავემორჩილო ელექტროენერგეტიკული კომპანიის წესებს და დროულად გადავიხადო ყველა ჩემი ელექტროენერეგიკული ქვითრები. მესმის, რომ ქვითრების გადაუხდელობის შემთხვევაში ელექტროენერგეტიკული მომსახურება შემიწყდება.

მესმის, რომ 24 სთ-იანი ელექტროენერგიის მოწოდება შეუძლებელი იქნება, მანამ, სანამ რელასის მომხმარებლები ყოველთვიურად არ გადაიხდიან მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს. ასევე მესმის, რომ ელექტროენერგიის მოპარვა კრიმინალია და თანახმა ვარ, არ გავაყალბო მრიცხველის მაჩვენებელი, ან გვერდი ავუარო მრიცხველს და შევატყობინო ელექტროენერგეტიკულ კომპანიას ყველა ამგვარი შემთხვევის შესახებ, რომელიც ჩემს ყურადღებამდე მოაღწევს.

ამ ბინაში ცხოვრობენ შემდეგი მოზრდილები (21 წლის ან უფროსი ასაკისა).

სახელი, გვარი	პასპორტის ნომერი

თუ ოჯახს ეკუთვნის სახელმწიფო შეღავათი ან კრედიტი, ქვემოთ ჩამოწერეთ შესაბამისი პირი, სერთიფიკატის ნომერი და სერთიფიკატის თარიღი:

შესაბამისი პირის სახელი, გვარი: _____
შეღავათის მიზეზი: _____
სერთიფიკატის ნომერი და თარიღი _____
მომხმარებლის ხელმოწერა _____ თარიღი _____
მოღებულია: _____ თარიღი _____

დანართი ბ

ტექნიკური სპეციფიკაცია #2
სამუშაოთა მოცულობა 14ბ, 15 რაიონებში, რომელიც იკვებება 72,73,74,75,76,77, ქვესადგურებიდან

კონტრაქტის ფორმა
რუსთავში მომხმარებელთა ელექტროგაყვანილობის მოდიფიკაციის ტექნიკური სპეციფიკაციის
ჩათვლით

თანდართულია: ხელსაწყოების და სამუშაოს დახასიათება საჭირო მომხმარებელთა ელექტროგაყვანილობის მოდიფიკაციისათვის, შენობების სარდაფების ელექტროგაყვანილობათა რეაბილიტაციისათვის და ქვესადგურების შესაკეთებლად

1. განმარტებანი

სამუშაოს შემსრულებელი შემდგომში მოხსენიებულია როგორც "შემსრულებელი" და USAID როგორც "დამკვეთი"

2. რაოდენობა და გადახდა

ა. . მომხმარებელთა მრიცხველების ბინებიდან გამოტანა

1. დამკვეთმა უნდა შეისყიდოს და შემსრულებელმა უნდა გაყიდოს ხელსაწყოები და შრომა, რომელიც საჭიროა მომხმარებელთა მრიცხველების ბინებიდან გამოსატანად ოითოეული სადარბაზოს ქვედა სართულზე დადგმულ ყუთებში და სარდაფების ელექტრული მოწყობილობების აღსადგენად. სამუშაოები უნდა განხორციელდეს რუსთავის 14ბ და 15-ე მიკრორაიონებში.

- 14ბ მიკრორაიონში: ლეონიძის ქ. 14, და ს.მ.კ. სახლი 40 (იკვებება 72-ე ქვესადგურიდან), მე-14 მიკრორაიონის #10, 11, 12 კორპუსები და მესხიშვილის ქ.#10ა (იკვებება #73 ქვესადგურიდან), ლეონიძის ქ. #22,24,26 და 44-ე,45-ე კორპუსები (იკვებება 77-ე) ქვესადგურიდან). მთლიანად საჭიროა 41 სადარბაზოს 922 მოსახლის მრიცხველების ბინებიდან გამოტანა და მთლიანად 41 სარდაფის ელექტრულ მოწყობილობათა აღდგენა.
- 15-ე მიკრორაიონში: შარტავას ქ. ##5,7,,9,11,13,15,17 სახლები მკრ. მე-8, მე-9 კორპუსები (იკვებება 74-ე ქვესადგურიდან), ტაშკენტის ქ. ##5,7, მკრნ. 10, 11,12 კორპუსები (იკვებება 75-ე ქვესადგურიდან), მკრნ. მე-16 კორპუსი, ლეონიძის ქ. ##30,32,34 (იკვებება 76-ე ქვესადგურიდან). მთლიანად საჭიროა 86 სადარბაზოს და 1851 მობინადრის მრიცხველების ბინებიდან გამოტანა და 86 სადარბაზოს ელექტრულ მოწყობილობათა აღდგენა.

Technical Specification #2
Work in the 14b, 15-th regions fed by substation: 72,73,74,75,76,77

CONTRACT FORMAT
Including
TECHNICAL SPECIFICATION
for
CUSTOMER ELECTRICAL CONVERSION WORKS AT RUSTAVI
Including: Labor and equipment for customer service entrance modifications, basement rehabilitations, and substation repairs.

1. DEFINITIONS

Performer of work is hereinafter referred to as "the Contractor" and USAID is hereinafter referred to as "the Purchaser".

2. QUANTITIES, AND PAYMENT

A. Customer Meter Relocation

1. The Purchaser shall purchase equipment and labor from the Contractor to move customer meters to new meter boxes at a central location for each stairway, and rehabilitate basement electrical installations, for all electricity customers living in Microregions 14b and 15 of rustavi:

- In microregion #14b: buildings # 14 Leonidze st., #40 of microregion 14b (fed by substation 72) and buildings ## 10, 11, 12 of Microregion 14b and #10a Meskhishvili st.(fed by substation #73), ##22,24,26 Leonidze st. and buildings ##44,45 of Microregion 14b (fed by substation 77). A total of 922 customer meters shall be relocated in 41 stairways, and a total of 41 basement electricity installations shall be rehabilitated.
- In microregion 15: buildings ## 5,7,9,11,13,15,17 Shartava st. and buildings ##8,9 of microregion (fed by the substation 74), ##5,7 Tashkent st. and buildings 10,11,12 of microregion (fed by substation 75), ## 30,32,34 Leonidze st and building # 16 (fed by substation 76). A total of 1851 customer meters shall be relocated in 86 stairways and a total of 86 basement electricity installations shall be rehabilitated.

At first the basements must be rehabilitated in each stairway entrance.

1. This work shall include the removal of meters from

ამავე დროს თითოეულ სადარბაზოში უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს სარდაფის რეაბილიტაცია.

1. სამუშაო უნდა მოიცავდეს მომხმარებელთა ბინებიდან მრიცხველების გამოტანას, მათ დაყენებას ახალ ყუთებში, ახალი გაყვანილობის გაკეთებას (მინიმუმ 6მმ² მავთულის გამოყენებით) ახლად დამონტაჟებული ყუთებიდან სართულზე განლაგებულ მომხმარებელთა ბინებთან შემაერთებელ სადენებამდე, სადენების სათანადოდ ჩასმას ახალ გამტარში (ან ძველი გამტარის გამოყენებას), რათა თავიდან იქნას აცილებული ელექტროენერგიის მოპარვა, მრიცხველების ახალი ყუთის კაბელით მიერთებას სარდაფში განლაგებულ განაწილების ყუთთან და სხვა სამუშაოებს.
2. ყველა სადენი უნდა მოთავსდეს სადენების ახალ გამტარში ან ამისათვის უნდა გამოყენებულ იქნას არსებული გამტარები; არცერთი სადენი არ უნდა გადიოდეს ზედაპირზე და სადენის გამტარად არ უნდა იყოს გამოყენებული არამეტალის კონსტრუქციები. ახალი სადენები როგორც მინიმუმ უნდა მოთავსებული იქნას მეტალის ბუდეებში, რომლებიც სათანადოდ იქნებიან კედელზე მიმაგრებული. "შემსრულებელმა" ყოველი სადარბაზოს შემთხვევაში უნდა დააკონკრეტოს თუ როგორ მოხდება ამის გაკეთება და უნდა შეუთანხმოს ეს წინასწარ დამკვეთს.
3. სართულის ყველა გამანაწილებელი ყუთი უნდა დაიკეტოს და ბოლტი მჭიდროდ მოეჭიროს; არ უნდა არსებობდეს დაუხურავი გამანაწლებელი ყუთები და დაუფარავი სადენები.
4. ყოველ სადარბაზოში უნდა ჩატარდეს სამუშაოები, რომლებიც აუცილებელია ყოველი სართულის საერთო განათების გაყვანილობის მისაერთებლად სარდაფში მოთავსებულ ნათურასთან და საერთო განათების მრიცხველთან, რომელიც დამონტაჟდება მრიცხველების ახალ ყუთში. ნათურის ჩასამაგრებელი ბუდე სარდაფში უნდა მოთავსდეს იმ მანძილზე არსებული განაწილების ყუთიდან, 1.5მ სიმაღლეზე იატაკიდან და მაგრად უნდა მიემაგროს კედელზე ორი არანაკლებ 5სმ სიგრძის ბოლტით(შურუპი). ცალფაზა საერთო მოხმარების ელექტროენერგიის (განათების) მრიცხველი უნდა დამონტაჟდეს მრიცხველების ყოველ ახალ ყუთში. მასთან ერთად ამავე ყუთში საერთო მოხმარების ელექტროენერგიაზე უნდა დამონტაჟდეს გარეთ გამომავალი 5 ამპერი სიმძლავრის ავტომატური ამომრთველი.
5. მრიცხველების ყოველ ახალ ყუთში უნდა იყოს ადგილი ყველა საჭირო მრიცხველისა და ყოველი აბონენტის ცალფაზა გამოიშველისათვის.
6. მრიცხველების ახალი ყუთი უნდა იყოს საკმაოდ მტკიცე კონსტრუქციის, რათა თავიდან აცილებულ იქნას ელექტროენერგიის ქურდობა და ვანდალიზმი (მინიმუმ 1.5მმ სისქის), აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო საკეტებით (ორი მტკიცე პეტლით და ორი მაგარი საკეტით, კარებსა და კორპუსს შორის ღრეჩოს ზომა არ უნდა აღემატებოდეს 2მმ-ს, არ უნდა იყოს გაღუნული და იოლად უნდა იკეტებოდეს და იღებოდეს), მყარად უნდა იყოს კედელზე მიმაგრებული (პისტოლეტის საშუალებით, შედუღებით და "შემსრულებელის" მიერ მითითებული სხვა მეთოდებით), უნდა შეიღებოს და სათანადო წარწერები გაუკეთდეს. თუ ყუთები ისეთ ადგილას იდგმება, სადაც კედლის ზედაპირი უსწორმასწოროა და სადაც დარჩენილი ღრეჩოს (კედელსა და ყუთს შორის) ზომა 2მმ-ზე მეტია, უნდა ჩატარდეს სათანადო მოდიფიკაცია და ღრეჩოების იმგვარად დახურვა, რომ დარჩენილი ღრეჩოს ზომა არ აღემატებოდეს მაქსიმუმ 2მმ-ს. ყველა ახალი ყუთი საჭიროა სათანადოდ იყოს

customer apartments, their installation in new boxes, new wiring (of at least a six millimeter cross-section) from new boxes to customer apartment connections on each landing, suitable conduit protection for new wiring (or placement in existing conduit) to prevent theft of electricity, cable connection from new boxes to existing distribution box installations in the basement, and other works.

2. All wire runs are to be protected in new conduit runs or in existing conduit. There shall be no surface runs of wiring or non-metal conduit or wiring covers. New conduit runs are to be at minimum of metal casing suitably shaped and attached to walls. The Contractor must specify how this will be achieved in every stairway, and reach agreement with the Purchasers representative.
3. All junction boxes shall be closed and screwed tight, there shall be no open junction boxes or otherwise exposed wires.
4. For each stairway, wiring works shall be performed to connect common service lighting on each floor, and one light socket in the basement, to a common service meter located in each new meter box. The basement light socket shall be located in the basement within 1 meter distance of basement distribution box installations and at a height of 1.5 meters above the floor level and shall be strongly fixed to the wall with at least two bolts of length five centimeters. Space shall be provided in each new box for a one-phase common service meter for metering of this common service circuit. A one-phase disconnector and 5 Amp circuit breaker shall be provided and installed for the common service circuit in each new box.
5. Each new meter box shall provide space for all required meters, and shall contain a one-phase disconnect switch for each customer meter.
6. The new box should be of strong enough construction to deter theft and vandalism (minimum wall thickness 1.5mm), should include suitable locking mechanisms (at least two strong hinges and two strong locks with minimum clearance between door and box in closed position of 2mm, with no binding edges between door and box, or warp in door), should be suitably affixed to the wall (by welding of box to steel rebar in wall – or by other suitable means specified by the Contractor), and should be appropriately painted and labeled. Where new boxes are installed against a surface that does not entirely cover the back of the box, and where greater than a 2mm gap occurs, then suitable modifications and sealing should be performed to assure adequate sealing of the box (2mm gap maximum). All new boxes should be appropriately electrically grounded. Meter boxes shall be located so that all meter box doors, locks, and latches have appropriate clearances for normal access and service. The doors shall have small windows of glass or plexiglass of dimensions 35X70mm, for each meter. New meter boxes shall be located on the second floor of apartment buildings. The type of all locks and locking mechanisms that the Contractor proposes to use

დანულებული. ყუთის კარებს უნდა ჰქონდეს შუშის ან პლექსიგლასის 35X70მმ ზომის ფანჯრები, თვითოეული მრიცხველის ანათვალის წასაკითხად, მრიცხველების ყუთები ისე უნდა განლაგდეს, რომ მის კარებებთან და საკეტებთან საკმაო ადგილი იყოს ნორმალური მიდგომისათვის მომსახურეობის გაწევისათვის. მრიცხველების ახალი ყუთი უნდა მოთავსდეს შენობის მეორე სართულზე. ყუთის ჩასაკეტად გამოყენებული საკეტები კონტრაქტორმა წინასწარ უნდა აჩვენოს დამკვეთს და ამ ორ მხარეს შორის უნდა მოხდეს შეთანხმება ამ საკეტების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ყველა გასაღებს საჭიროა დაედოს სათანადო დამღა (ნომერი) შემსრულებლის მიერ.

7. იმისათვის რომ დატვირთვები თანაბარი იყოს ყოველ ფაზაზე, შემსრულებელმა უნდა მოახდინოს დატვირთვის შემდეგი განაწილება ა)ფაზა უნდა აწოდებდეს ელექტროენერგიას 1,2,3 სართულს, ბ)ფაზა – 4,5,6 სართულს, ხოლო გ)ფაზა – 7,8,9 სართულებს (ან მხოლოდ 7 და 8 სართული, როცა შენობა 8 სართულიანია). ყოველი შემომყვანი ფაზა უნდა შეიღებოს შესაბამისი ფერით: წითელი, ყვითელი, მწვანე.
8. შემსრულებელმა არ უნდა გამოიყენოს თურქული წარმოების მავთული (ცუდი იზოლაციის გამო). შემსრულებელმა უნდა შეამოწმოს იზოლაცია მეგერით.
9. შემსრულებელი უნდა დარწმუნდეს, რომ მომხმარებელთა ბინები აღჭურვილია სათანადო მცველებით ან ავტომატური ამომრთველებით. ამისათვის შემსრულებელმა საჭიროებისამებრ უნდა შეცვალოს არსებული დაზიანებული მოწყობილობანი 32ა ავტომატური ამომრთველებით.
10. მრიცხველების ახალ ყუთში სხვადასხვა ფაზის შიშველი გამტარები და მათი მიერთებანი ერთმანეთისაგან დაშორებული უნდა იქნას არანაკლებ 30მმ-ით. გარდა ამისა, მრიცხველების ყუთში შემომავალი ძალოვანი კაბელის მიერთებანი ერთმანეთისაგან გამოყოფილი უნდა იყოს სათანადო იზოლატორით (როგორიცაა ტექსტოლიტის ფირფიტა არანაკლებ 3მმ სისქისა), რომელიც 1სმ-ით გადაფარავს ღია გამტარს ყველა მიმართულებით.
11. ახალი გაყვანილობის ძველთან შეერთებისას გამოყენებული უნდა იქნას სათანადო გადამყვანები, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ხდება სპილენძის გამტარის ალუმინის გამტართან მიერთება. ეს საჭიროა გამტართა ხარისხიანი მექანიკური და ელექტრო მიერთებების უზრუნველსაყოფად. დამატებით საჭიროა გამტარის ღია ნაწილის იზოლაციით დაფარვა. იმ ადგილებში სადაც ხდება ალუმინის ალუმინზე გადაბმა, საჭიროა მავთულების გადახვევის სიგრძე არანაკლებ 5სმ-ისა იყოს და დაფარულ უნდა იქნას საიზოლაციო ლენტის ორი ფენით მაინც (არა იაფი თურქული წარმოების). კონტრაქტორმა უნდა მიუთითოს თუ როგორ აპირებს მავთულების ერთმანეთზე გადაბმას და ეს წინასწარ უნდა შეუთანხმოს დამკვეთის წარმომადგენელს.
12. "შემსრულებელმა" უნდა განახორციელოს მის მიერ დაყენებული მრიცხველების ყუთის მიერთება სარდაფში არსებულ განაწილების ყუთთან საკუთარი, მოსალოდნელი დატვირთვის შესაბამისი, სათანადო იზოლაციის მქონე კაბელით. კაბელის ბოლოები უნდა დაიწნიხოს (დაბოლოებები). არცერთი ეს გამტარი არ უნდა იყოს ზედაპირზე და უნდა იყოს დაცული და გაყვანილი ისე, როგორც ეს 3-ე პუნქტშია მითითებული.
13. მრიცხველების განლაგების გეგმა მოცემული უნდა იყოს ყუთში, რათა გაადვილდეს მათი წაკითხვა. ამის გარდა, მრიცხველების ყუთიდან მომხმარებლამდე

for new meter boxes should be demonstrated to the Purchaser and agreement should be reached with the Purchaser on the exact type of lock and locking mechanism to be used for all installations. All keys shall be numbered by the Contractor.

7. To have the equal loads on each phase of power cable, Contractor has to distribute the loads by the following way: a)phase must supply the power to the 1,2,3 floors of the building, b)phase – to 4,5,6 floors, c)phase – to 7,8,9 floors (or only floors 7 and 8 in case of 8 floor buildings). Each phase shall be colored using red, yellow and green colors.
8. Contractor must not use wires produced in Turkey (bad insulation). Contractor must check insulation of the wires using a magger.
9. Contractor must ensure, that all customer apartments are served with electricity by a suitable fuse or automatic disconnect. To accomplish this, Contractor shall replace broken equipment with 32Amp automatic disconnects.
10. Within new meter boxes all phase-to-phase bare wire and other connectors should be separated by at least 30 millimeters distance. In addition, main three phase wiring connections within new meter boxes should be separated by suitable insulating material (such as textalite plate of no less than three millimeters thickness) extending 1 cm in all directions around bare wiring.
11. Suitable connectors should be used for the connection of all wiring, particularly when copper and aluminum wires are connected together. This is to assure appropriate electrical and mechanical connections of all wiring. In addition, all connections shall be insulated so that no energized wire is exposed to contact. For aluminum to aluminum connections, twisted connections will be adequate although at least five centimeters of wire-to-wire twisting is required and at least two layers of insulation should be used (though not cheap thin Turkish insulation tape). The Contractor must specify how all connections are to be made, and reach agreement with the Purchasers representative on how connections will be made.
12. The Contractor shall make an electrical connection between his installations and the existing feeder distribution box located in the basement of the apartment building by means of a cable supplied by the Contractor suitably sized for load and insulated; all cable ends shall be connected by means of pressed cable shoes. None of this wiring shall be exposed, and should be protected by adequate conduit as described in section 3 above.
13. All meter locations within boxes shall be clearly labeled to facilitate easy meter reading. In addition, a schematic of stairwell wiring from the meter box to apartments must be located on the inside door of all meter cabinets. Meters in the new meter box must be numbered from the top to the bottom and from the left to the right, showing corresponding apartment numbers. Also all disconnectors must be numbered from the left to the right according to the apartment numbers.

12. *მომხმარებლის მიერ კონტრაქტის გაუქმება:* მომხმარებელმა, რომელიც ასრულებდა კონტრაქტის ყველა პირობას, მაგრამ სურს მისი გაუქმება, მან რელასს ამის შესახებ უნდა შეატყობინოს არანაკლებ სამი (3) დღისა, თუ ამის შესახებ სხვაგვარად არ არის აღნიშნული კონტრაქტში. კონტრაქტის ვადის გავლამდე მომხმარებლის მიერ მისი გაუქმება არ ათავისუფლებს მას საგარანტიო გადასახადის გადახდიდან, თუ ასეთი გადასახადის შესახებ აღნიშნულია კონტრაქტში.

13. *დროებითი მომსახურების გადასახადი:* მომხმარებლებმა, რომლებსაც სურთ გაეწიოთ დრებითი მომსახურება, უნდა თავისი ხარჯით დაფარონ მათი ქსელში ჩართვასა და შემდგომში გამორთვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. ეს წესი ეხება ყველა დროებით ნაგებობას.

14. *მომსახურების შეწყვეტა:* რელასი უზრუნველყოფს მომხამერებელთა ხარისხიან მომსახურებას, მაგრამ იგი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დაზიანებაზე ან უბედურ შემთხვევაზე, რაც გამოწვეულ იქნა რელასისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით: არადეკვატური ძაბვა, ერთ-ფაზობა, სხვა არადამაკმაყოფილებელი მომსახურება და ა.შ.

15. *ძაბვის ფლუქტუაცია გამოწვეული მომხმარებლის მიერ:* ელექტროენერგიით მომსახურება არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ფორმით, რომ გამოიწვიოს რელასის სისტემის უჩვეულო ფლუქტუაცია ან დაზიანება. რელასს შეუძლია მიმართოს მომხმარებელს, მისი ხარჯებით, დააამონტაჟოს ისეთი აპარატურა, რომელიც შეამცირებდა ასეთ ფლუაქტუაციას.

16. *დამატებითი დატვირთვა:* რელასის მიერ მომხმარებლისთვის მიწოდებულ ნებისმიერ ტრანსფორმატორს, მრიცხველს ან მოწყობილობას გააჩნია შესაბამისი სიმძლავრე და რელასის თანხმობის გარეშე აკრძალულია არანაირი დამატებითი მოწყობილობის ან დატვირთვის დადგმა. მომხმარებელი პასუხისმგებელია ნებისმიერ ზიანზე, რომელიც შეიძლება რელასის ქონებას, რელასის თანხმობის გარეშე დადგმულმა დამატებითმა დატვირთვის მოწობილობამ მიაყენოს.

17. *რელასისა და სათადარიგო მომსახურება:* მომხმარებლის მიერ გამოყენებული მთელი ელექტროენერგია მიწოდებულ უნდა იქნეს მხოლოდ რელასის მიერ და მომხმარებელს არა აქვს უფლება პირდაპირ ან ირიბად გაყიდოს, გადასცეს, ანუ დანიშნულების გარეშე გამოიყენოს ელექტროენერგია.

18. *ხიფათის შეტყობინება:* მომხმარებელმა დაუყოვნებლი უნდა აცნობოს რელასს არადამაკმაყოფილებელი მომსახურების, ნებისმიერი დეფექტის ან პრობლემის შესახებ, რომეოლიც აფერხებს ელექტროენერგის მიწოდებას. ასეთი ზეპირი შეტყობინება დადასტურებუ უნდა იქნეს წერილობით.

19. *არასტანდარტული მომსახურება:* მომხმარებელმა თვითონ უნდა დაფაროს ხარჯები, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერი სპეციალური დანადგარების დამონტაჟებამ, რომელიც აუცილებელია რომ დაკმაყოფილდეს ელასის მოთხოვნები.

20. *მრიცხველის ტესტირება:* რელასი თავისი ხარჯით პერიოდულად აწარმოებს მრიცხველების შემოწმებას, რათა მიღწეულ იქნეს ზუსტი აღრიცხვა. მომხმარებლის თხოვნით რელასს შეუძლია ჩაატაროს დამატებითი ტესტირება. თუ მომხმარებლის მოთხოვნით ტესტირებამ აჩვენა 2%-იანი ცდომილება, მაშინ მომხმარებლის გადასახადში არანაირი ცვლილება არ იქნება შეტანილი. თუ შემოწმებამ აჩვენა მრიცხველის 2%-ზე მეტი ცდომილება, მაშინ მომავალი თვის გადასახადში შეტანილ უნდა იქნეს შესაბამისი შესწორებანი, ხოლო ტესტირებასთან დაკავშირებული ხარჯები დაფაროს რელასმა.

21. *მომხმარებელთა ერთმანეთთან დაკავშირებული ანგარიშები:* თუ რელასი დაადგენს, რომ მომხმარებლის ქვითარში გაპარულ იქნა შეცდომა, მაშინ შესაბამისი შესწორებანი უნდა იქნეს შეტანილი შემდეგი თვის ქვითარში.

22. *გადასახადი ჩართვაზე:* ოცდათხუთმეტი (35) ლარი უნდა იქნეს გადახდილი ახალ, სტანდარტების შესატყვის ადგილზე, რომელიც უნდა ჩაირთოს მომსახურების ქსელში. ხუთი (5) ლარი უნდა იქნეს გადახდილი მანამდე მომსახურებადი ადგილის ხელახელ ჩართვაზე. რელასი ადგენს გადასახადებს, რომელიც გამოიყენება ისეთი ადგილების მომსახურების ქსელში ჩართვაზე, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ ჩართვის სტანდარტებს.

23. *შენობის საერთო მომსახურება:* შენობაში არსებული საერთო მოხმარების, როგორიცაა: შიდა განათება, ლიფტი, გარე განათება, საშუალებებზე გადასახადი (40 თეთრი) დამატებულ უნდა იქნეს მომხმარებელთა ყოველთვიურად გადასახდელ ანგარიშშზე. თანხის ოდენობა ასევე შეუძლია დაადგინოს რელასმაც, რათა მოხდეს საერთო მოხმარების საშუალებათა მიერ მოხმარებული ელექტროენერგის საფასურის დაფარვა.

24. *ელექროენერგიის დეფიციტი:* განსაკუთრებული შემთხვევების ან სხვა მიზეზთა გამო, რომელმაც გამოიწვიეს რელასისთვის განკუთვნილი ელექტროენერგიის ოდენობის შემცირება, რელასს შეუძლია შემოიღოს

გრაფიკი, რომლის მიხედვითაც მომხმარებლებს ელექტროენერგია მიეწოდებათ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში, ან შემოიღოს ლიმიტი ელექტროენერგიის მოხმარებისა თითოეული მომხმარებლისთვის. თუ ასეთი ღონისძიებების გატარება აუცილებელი შეიქმნა, მაშინ მომხმარებელს უნდა წარედგინოს ვარიანტები შეზღუდვისა, რათა მან აირჩიოს იგი, გამომდინარე ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების თვალსაზრისიდან. თუ მომხმარებელი არ დაემორჩილება ასეთ შეზღუდვებს, მაშინ რელასი იტოვებს უფლებას დროებით შეუწყვიტოს მომსახურება მომხმარებელს ან ელექტროენერგიის ღირებულებას დაამატოს გადასახადი.

25. *დანიშნულება:* წარმოდგენილი დოკუმენტი წესებისა და პირობების შესახებ, წარმოადგენს რელასისგან ელექტროენერგის მიღებაზე დასადებ კონტრაქტების ნაწილს, მიუხედავად იმისა ეს მომსახურება დამყარებული იქნება კონტრაქტებზე, განაცხადზე თუ ხელშეკრულებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტის ასლი და დოკუმენტი გადასახადების შესახებ, უნდა ინახებოდეს რელასის ოფისებში.

26. *შესწორებანი:* შესაძლებელია წარმოდგენილი დოკუმენტის დრო და დრო შეტყობინების გარეშე გადახედვა, შესწორება ან დამატება.

27. *კონფლიქტები:* წარმოდგენილი დოკუმენტის ნებისმიერი პუნქტის გადასახადების დოკუმენტთან შეუსაბამობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს გადასახადების დოკუმენტის პირობები.

დანართი დ

საზოგადოების ინფორმირების პროგრამა

კომერციული რეფორმების განხორციელების მიზნით

იმისათვის რომ კომერციული რეფორმების პროგრამა წარმატებით განხორციელდეს, მომხმარებელი და სხვა დაინტერესებული მხარე სრულიად ინფორმირებული უნდა იყოს:

- პროგრამის საბოლოო მიზნების შესახებ
- პროგრამის მეთოდოლოგიის შესახებ
- ამ მეთოდოლოგიის უპირატესობის შესახებ

სტრატეგია გულისხმობს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებას ამ მიზნის განსახორციელებლად, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ პროგრამის მხარდაჭერა და მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმირება.

არსებობს საზოგადოების ინფორმირების პროგრამის სხვადასხვა მონაწილენი:

1. პილოტ პროექტში უშუალოდ ჩართული მომხმარებლები
2. კომპანიის სხვა მომხმარებლები
3. კომპანიის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ პილოტ პროექტში
4. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები
5. საქართველოს მთავრობის ოფიციალური პირები განაწილების სხვა კომპანიის წარმომადგენელთა ჩათვლით
6. საქართველოში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების სხვა წევრები.

მომხმარებელთათვის მისაწოდებელი ზოგადი ინფორმაცია მოიცავს:

- საქართველოს განაწილების კომპანიებში არსებული რეალური მდგომარეობას
- რა არის საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად
- განაწილების კომპანიის მიერ გადასადგმელი ნაბიჯები
- მომხმარებელთა მონაწილეობის ზომა ამ პროცესში

მომხმარებელთა სწავლების მიზნით, მათთვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს მარტივი და ფუნდამენტალური და ყველა საინფორმაციო საშუალება უნდა იყოს გამოყენებული მის გასავრცელებლად. მიწოდებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ოთხ ძირითად ელემენტს:

ა) პრობლემა: საფასურის გადაუხდელობა

ელექტროენერგიის დეფიციტის პრობლემის გადაჭრა საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ საფასურის სრულად გადახდის შემთხვევაში. ეს ფული საჭიროა საწვავის შესაძენად ან ელექტროენერგიის იმპორტისათვის სხვა ქვეყნებიდან. საქართველოს მთავრობას არ გააჩნია საკმაო შემოსავალი ამ ხარჯების დასაფარავად.

ბ) გადაჭრის გზა: არგადამხდელთა გათიშვა

ამ პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზას წარმოადგენს იმ მომხმარებელთათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა, ვინც არ

იხდის გადასახადს. ეს კომპანიას საშუალებას მისცემს 24 საათის განმავლობაში მიაწოდონ ელექტროენერგია მათ, ვინც დროულად იხდის გადასახადს. წინასწარი შეფასებით, მოსახლეობის 80%-ს შესწევს ძალა ელექტროენერგიის საფასურის გადახდისა, მაგრამ ამას არ აკეთებს, რადგან გადაუხდელობას არავითარი რეაქცია არ მოჰყვება.

მომხმარებლისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა არასასურველი ზომაა, მაგრამ ერთადერთია არსებული დეფიციტის თავიდან ასაცილებლად.

გ) გეგმა:

გეგმა შედგება რამოდენიმე ელემენტისაგან, რომელთა გასინჯვა მოხდება პილოტ პროექტის განხორციელების პერიოდში. გეგმა მოიცავს შემდგომ ნაბიჯებს:

(1) აღრიცხვიანობის მოწესრიგება: კომპიუტერული აღრიცხვიანობის დანერგვა არსებული პროცედურების სანაცვლოდ. ელექტროენერგიის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს არაუგვიანეს თვის მოცემული დღისა სპეციალურად გამოყოფილ გადახდის პუნქტებში. დაგვიანების შემთხვევაში მოხდება მომხმარებელთა გათიშვა.

(2) 24 საათიანი მომსახურეობა: კომპიუტერული აღრიცხვის სისტემის დანერგვის შემდეგ მომხმარებელს შეეთავაზება 24 საათიანი მომსახურება. ეს უნდა განხორციელდეს ცალკეულ ფიდერებზე, რომლებიც 24 საათის განმავლობაში უნდა იღებდნენ ელექტროენერგიას საქენერგოდან. მოცემული ფიდერიდან შესაძლოა განხორციელდეს 24 საათიანი მომსახურეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე მიერთებულ მომხმარებელთა 60% მაინც ხელს მოაწერს ხელშეკრულებას 24სთ-იანი მომსახურეობის პირობების შესახებ. ამის შემდეგ ის მომხმარებლები, ვინც უარს იტყვიან ასეთ მომსახურეობაზე გაითიშებიან ქსელიდან.

გ) ძალდატანება

ცალკეული მომხმარებელი, ვინც არ გადაიხდის ყოველთვიურად ელექტროენერგიის საფასურს ამოერთვება ქსელიდან. ეს მოხდება მისი მრიცხველიდან სადენების ამორთვის გზით და მის ბინაში შემავალი გაყვანილობის ძაბვის წყაროდან ამორთვით. შესაძლოა მრიცხველის მოხსნაც კი.

მომსახურეობის ინსპექტორი დაათვალიერებს და ამორთავს ყველა უკანონო მიერთებებს. შენობებთან და ფიდერებზე დაიდგმება საკონტროლო მრიცხველები, და თუ ელექტროენერგიის მოპარვის დონე აღემატება 5%-ს, გამოირთვება მთელი ფიდერი. ეს იმის გამო მოხდება რომ საფასურის გადამხდელმა მომხმარებლებმა გავლენა მოახდინონ ურჩ გადამხდელებზე, ან დაეხმაროს ღარიბ მოსახლეობას.

2. პოლიტიკური და სახელმწიფო ხელმძღვანელები

ადგილობრივი და ეროვნული პოლიტიკური ლიდერები დროულად და ხშირად უნდა ინფორმირდნენ მომავალი გეგმებისა და არსებული პროგრესის შესახებ. ძირითადი შეტყობინება უნდა იყოს შემდეგი: "საქართველოს ეკონომიკური აღორძინება იწყება გამართლებული ინფრასტრუქტურით, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კომერციისა და ინდუსტრიისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ელექტროენერგიით 24 საათიანი მომსახურება. ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა გადაიხდის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს".

უნდა მომზადდეს პოლიტიკური და სახელმწიფო ხელმძღვანელთა სია, და ჰაგლერ ბაის პერსონალმა უნდა უზრუნველყოს გამოცემული ახალი ამბებისა და ანგარიშების მათთვის მიწოდება.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

ახალი პროგრამა, მისი მიზანი, და პერიოდული ანგარიშები საჭიროა ინტენსიურად გამოქვეყნდეს იმ რეგიონებში, სადაც დაგეგმილია ამ პროგრამის შესრულება.

ა) მას მედია

საჯაროობამ საჭიროა მიიღოს საქალაქო მასშტაბები, და სასწრაფოდ გამოქვეყნებულ იქნას ჟურნალ გაზეთებში, რადიოთი და ტელევიზიით პილოტ პროგრამის დაწყებამდე რამოდენიმე კვირით ადრე მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში. ყოველ მომხმარებელს საშუალება უნდა მიეცეს გაეცნოს გეგმას, და იმ ფაქტს რომ აღნიშნული პილოტ პროგრამის განხორციელება დაიწყება ქალაქის შერჩეულ რაიონში. მომხმარებლებს საშუალება უნდა მიეცეთ დაუკავშირდნენ საწარმოს და გამოხატონ აზრი პილოტ პროგრამის მათ რაიონში ჩატარების შესახებ.

ბ) საინფორმაციო ბარათი

ქალაქის ყოველი რაიონი დაგეგმილია ჩაირთოს ყოველთვიური ანგარიშის პროგრამაში (პირველი) და 24 საათიან მომსახურების პროგრამაში (მეორე), უნდა მომზადდეს საინფორმაციო ბარათები და დარიგდეს მომხმარებელთა მისამართებზე აღნიშნულ რაიონში. აღნიშნული პროცედურის მიზანია გაიმეოროს მას მედიით გადაცემული ინფორმაცია პროგრამის შესახებ და მომხმარებელს აცნობოს იმის შესახებ, თუ როდის შეეძლება მომხმარებელს აღნიშნულ პროგრამაში ჩართვა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აღრიცხვის პროგრამა შესრულდება მომხმარებელთა თანხმობის გარეშეც და საინფორმაციო ბარათი უნდა წარმოადგენდეს მოსამზადებელ წინაპირობას 24 საათიანი მომსახურებისათვის. მომხმარებელს ამ ეტაპზე რეკომენდაცია გაეწევა 24 საათიანი მომსახურებასა და მოთხოვნილებებზე.

4. ახალი ამბების ფურცელი

იმისათვის, რომ მთავრობის ოფიციალურმა პირებმა და საერთაშორისო სააგენტოებმა შეაფასონ პროგრამის შემდგომი გეგმები და პროგრესი საჭიროა ახალი ამბების ფურცელი რეგულარულად (თვიურად) გამოშვებული იქნას და დაიგზავნოს ადგილობრივ და ეროვნულ ხელმძღვანელობასთან. ახალი ამბების ფურცელი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს გახდის პროგრამის დეტალებს, გააცნობს ანგარიშს პროგრამაში ჩართული ხალხის რაოდენობის გაზრდის შესახებ, იმ მომხმარებელთა რიცხვს, რომლებიც იღებენ 24 საათიან მომსახურებას, გაყიდული კვტსთ-ების ოდენობას და მიღებულ მოგებას, კმაყოფილი მომხმარებლების მოსაზრებებს, ასევე სხვადასხვა სქემებს, რომლებიც შემუშავებული იქნება საზოგადოების ღარიბი ფენებისათვის ახალ კომერციულ გარემოში.

5. მონაწილე მომხმარებლები

რიგი საინფორმაციო ბარათებისა შემუშავებული იქნება პროგრამაში მონაწილე მომხმარებლებთან ერთად. საინფორმაციო ბარათებში საჭიროა დაწვრილებითი ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ რა არის მოსალოდნელი მომხმარებლებისაგან სხვადასხვა ეტაპზე. ამ ბარათებში მოცემული იქნება:

მრიცხველის საწყისი მონაცემი
პირველი ანგარიშის წარდგენა
ახალი ანგარიშის წარდგენა ძველ მონაცემთან ერთად
ელექტროენერგიის მოპარვის შემთხვევების აღმოჩენა
გადაუხდელობის შემთხვევაში გათიშვების გატარება
განაცხადის შეტანა 24 საათიან მომსახურებაზე

აღნიშნული საინფორმაციო ბარათების ნიმუშები მოცემულია დანართში

6. საინფორმაციო სააგენტო

საინფორმაციო ოფისი საჭიროა შეიქმნას იმისათვის, რომ რეგულარულად მოხდეს ინფორმაციის მიწოდება ყველა დაინტერესებული საინფორმაციო წყაროებისათვის. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ინფორმაციები არ წარმოადგენენ სარეკლამო განცხადებებს. როცა ეს მიზანშეწონილი იქნება, საზოგადოებრივი აზრი უნდა გაეცნოს ადგილობრივი მმართველობის ოფიციალურ პირს (მაგალითად მერს). ამისათვის აუცილებელია საწარმოს მმართველობამ შეათანხმოს გამოქვეყნებული ინფორმაცია მერიასთან.

მუნიციპალიტეტის ჩართვა ამ პროგრამაში მნიშვნელოვანია პროგრამის პოლიტიკური მხარდაჭერისათვის, განსაკუთრებით გათიშვების პოლიტიკისათვის, ეს მნიშვნელოვანია პროგრამის წარმატებისათვის.

საინფორმაციო სააგენტოს გამოშვებების ნიმუშები მოცემულია დანართში. მათ საილუსტრაციო მიზანი გააჩნიათ. საჭიროა შესწორდეს დრო და დეტალები რეალური განრიგთან და შედეგებთან შეთანხმებისათვის.

დანართი ე

მოსამსახურის მოვალეობათა აღწერა

მრიცხველის წამკითხველი

მიზანი:
ყოველდღიურად მოახდინოს მომხმარებელთა მრიცხველების წაკითხვა და მიაწოდოს შესაბამისი მონაცემები აღრიცხვის ოფისს, რომელიც მოამზადებს ყოველი თვის ანგარიშებს მოხმარებული ელექტროენერგიის შესახებ.

ანგარიშვალდებულება:
1. პროექტის მენეჯერის წინაშე – ადმინისტრაციულ საკითხებზე
2. აღრიცხვის ზედამხედველის წინაშე – ყოველდღიურ სამუშაოთა შესახებ.

ასრულებს შემდეგ მოვალეობებს:
1. ამოწმებს მომხმარებელთა აღრიცხვის წიგნს და ატარებს ადგილზე შესწავლას, რათა დაეხმაროს მომხმარებელთა დაჯგუფებასა და შემოვლის ოპტიმალური მარშრუტის შემუშავებაში; იმ მომხმარებელთა რაოდენობის დადგენაში, რომელთა მრიცხველების წაკითხვა შესაძლებელია ერთი 8 საათიანი სამუშაო დღის განმავლობაში; იღებს მონაწილეობას ახალი შემოვლის მარშრუტების შემუშავებაში.

2. აწარმოებს მომხმარებელთა მრიცხველების წაკითხვას აღრიცხვის ზედამხედველის მიერ შემოღებული განრიგის შესაბამისად. თვიური განრიგი მოიცავს 20 მარშრუტს – ერთს ყოველი სამუშაო დღის განმავლობაში. მოცემულ ფიქსირებულ მარშრუტზე გასვლა დაახლოებით თვეში ერთხელ უნდა მოხდეს.

3. ყოველი მომხმარებლის მრიცხველის ჩვენება შეაქვს აღრიცხვის ზედამხედველის მიერ მისთვის გადაცემულ სიაში. შევსებული ფურცლები უნდა გადაეცეს აღრიცხვის ოფისს სამუშაო დღის დამთავრებამდე და ამავე დროს მრიცხველის წამკითხველი მიიღებს ახალ სიას, მომდევნო დღეს შემოსავლელი მომხმარებლებისა.

4. იქ სადაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა მრიცხველის წაკითხვა (მრიცხველი ბინაშია, სახლში არავინაა), მრიცხველის წამკითხველი აკეთებს აღნიშვნას "ვერ მოხდა წაკითხვა", რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა შეფასებითი რაოდენობის დარიცხვა. (მრიცხველის წამკითხველს არ ევალება ამ შეფასების გაკეთება)

5. ავრცელებს მომხმარებლებს შორის კომპანიის მიერ მომზადებულ ინფორმაციულ ბიულეტენებს.

6. პასუხობს მომხმარეელთა შეკითხვებზე ელექტროენერგიის მოხმარებასა და საფასურის გადახდის შესახებ.

7. სწავლობს და ანგარიშს აბარებს დაზინებული, გაჩერებული მრიცხველებისა და არალეალური შეერთებების შესახებ,

8. ასრულებს სხვა მიცემულ ბრძანებებს.

კვალიფიკაცია
ამ თანამდებობაზე განპირობებული პიროვნებებს უნდა შეეძლოთ:

1. უნდა იცნობდეს რაიონს, შეეძლოს ქუჩების მიხედვით საჭირო მომხმარებელთა მოძებნა.
2. უნდა იცნობდეს მრიცხველების ტიპებს და გაყვანილობას, რათა გადახრების შესახებ აცნობოს კომპანიას.
3. უნდა შეეძლოს მომხმარებელთან ეფექტური მუშაობა ნორმალური პირობების დროს.

ანაზღაურება

ხელფასი გადაეხდება თვის დასაწყისში ნამუშევარი დღეების რაოდენობის მიხედვით.

მოსამსახურის მოვალეობათა აღწერა

აღრიცხვის ოპერაციების ჩამტარებელი კომპიუტერის ოპერატორი

მიზანი:
ყოველდღიურად შეიტანოს კომპიუტერში მომხმარებელთა ანგარიშები და გადახდილი ან გადაუხდელი გადასახადები.

ანგარიშვალდებულება:
1. პროექტის მენეჯერის წინაშე – ადმინისტრაციულ საკითხებზე
2. აღრიცხვის ზედამხედველის წინაშე – ყოველდღიურ სამუშაოთა შესახებ.

ასრულებს შემდეგ მოვალეობებს:
1. ყოველდღიურად მომხმარებელთა ბაზაში შეიტანოს მონაცემები წინა დღეს განხორციელებული გადახდილი ქვითრების შესახებ, ხოლო შემდეგ ამობეჭდოს მოცემულ დღეს დასარიგებელი ქვითრები.

2. ყოველდღიურად მომხმარებელთა ბაზაში შეიტანოს შესწორებანი წინა დღეს გამოწერილ ქვითრებთან დაკავშირებით.

3. ყოველდღიურად მომხმარებელთა ბაზაში შეიტანოს მონაცემები წინა დღეს წაკითხული მრიცხველების შესახებ. თუ გარკვეული მიზეზების გამო ვერ განხორციელდა ზოგიერთი მრიცხველის წაკითხვა კომპიუტერში შეიტანოს დაახლოებითი (შეფასებით) მონაცემი, რომელსაც მოაწვდის აღრიცხვის ზედამხედველი.

4. ყოველდღიურად ანხორციელებს აღრიცხვის პროცედურებს, რაც მოიცავს:
   - ანგარიშთა გამოთვლას
   - ანგარიშთა სიის ამობეჭდვას მასში შემდგომი შესწორებების შეტანის მიზნით.
   - იხილავს და შეაქვს შესწორებები ანგარიშთა სიაში, იღებს სათანადო ინსტრუქციებს აღრიცხვის ზედამხედველის მხრიდან და შეაქვს კომპიუტერის მონაცემთა ბაზაში.
   - ბეჭდავს, ანცალკევებს, ახარისხებს და აბარებს ანგარიშებს.
   - ბეჭდავს მოცემული დღის ანგარიშთა საბოლოო სიას.

5. ყოველი ნორმალური სამუშაო დღის დამთავრებამდე, ამზადებს მომდევნო დღეს წასაკითხი მრიცხველების სიას არსებული განრიგის მიხედვით.

6. კომპიუტერში არსებული მენიუს საშუალებით ამზადებს მენეჯმენტის ანგარიშს.

7. ყოველდღიურად აკეთებს მონაცემთა ასლს დისკეტკებზე და ინახავს საიმედო ადგილას.

8. ასრულებს სხვა საჭირო მოვალეებებს.

კვალიფიკაცია:
ამ თანამდებობის დასაკავებლად პიროვნება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. კომპიუტერზე მუშაობის გარკვეული სიჩქარე, რათა დროულად შეძლოს მონაცემთა შეყვანა კომპიუტერში.

2. პროგრამებთან მუშაობის და პერიფერიებთან მუშაობის ზოგადი გამოცდილება.

3. კარგი ურთიერთობის დამყარების უნარი სხვა თანამშრომლებთან.

ანაზღაურება:
ხელფასი ეხდება თვეში ერთხელ ნამუშევარი დღეების მიხედვით.

მოსამსახურის მოვალეობათა აღწერა
პროექტის მენეჯერი

მიზანი:
დაეხმაროს ჰაგლერ ბაის პილოტ პროექტის განხორციელებაში.

ანგარიშვალდებულია: ჰაგლერ ბაის პროექტის მენეჯერის წინაშე, თბილისი

ხელმძღვანელობს: პილოტ პროექტის რუსთავის ყველა თანამშრომლის საქმიანობას.

მოვალეობანი:

1. ეხმარება ჰაგლერ ბაის პილოტ პროექტის წესებისა და პროცედურების დაგეგმვასა და შემუშავებაში.

2. ხელმძღვანელობს ადგილობრივი ოფისის მოწყობას და მის საქმიანობას.

3. ეხმარება ჰაგლერ ბაის საზოგადოების ინფორმირებაში მიმდინარე პროექტის შესახებ, რაც გულისხმობს შესაბამისი განცხადებების გაკეთებას ტელევიზიისა და პრესის საშუალებით.

4. მონაწილეობს პილოტ პროექტისათვის საჭირო პერსონალის შერჩევასა და მათ სამუშაოზე აყვანაში. ამოწმებს, რომ მათ ყოველდღიურ საქმანობას და რწმუნდება რომ ხელფასის ქვითრები ნამდვილად შეესაბამება ნამუშევარი დღეების რიცხვს.

5. დაამყაროს ურთიერთობა მუნიციპალიტეტის შესაბამის ოფიციალურ პირებთან, რაა გააცნოს მათ პროექტის მიზნები და უზრუნველყოს მათი მხარდაჭერა.

6. მონაწილეობს მომხმარებელთა ჯგუფის შერჩევასა და ელექტროენერგიის საფასურის გადასახდელი პუნქტების მოწყობაში.

6. უზრუნველყოფს ჰარმონიულ დამოკიდებულებას პილოტ პროექტის თანამშრომლებსა და კომპანიის საშტატო თანამშრომლებს შორის. ატარებს ახსნა–განმარტებებს პილოტ პროექტის მიზნების შესახებ.

7. ზედამხედველობას უწევს საბუღალტრო, საიჟინრო, კომპიუტერული ექსპერტებისა და სხვა თანამშრომელთა საქმიანობას; უწევს მათ სათანადო დახმარებას.

8. დარწმუნდეს პროგრამაში დანერგილი სიახლის უფრო ფართო მომხმარებელზე განზოგადოების შესაძლებლობაში. შეისწავლოს თუ რამდენადაა ეს განხორციელებადი არსებული შეზღუდული დაფინანსების პირობებში.

9. მჭიდრო ურთიერთობა აქვს ჰაგლერ ბაის ხელმძღვანელობასთან. სთავაზობს მათ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პრობლემების გადაწყვეტის სხვადასხვა გზებს.

კვალიფიკაცია

ამ თანამდებობაზე მომუშავე პირს უნდა გააჩნდეს:

- განაწილების კომპანიის ხელმძღვანელის გამოცდილება
- რუსთავის გამანაწილებელი კომპანიის სპეციფიკის ცოდნა

ანაზღაურება

- ხელფასი ეხდება თვეში ერთხელ მომდევნო თვის დასაწყისში.

მოსამსახურის მოვალეობათა აღწერა

საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალისტი

მიზანი:
დაეხმაროს ჰაგლერ ბაის პილოტ პროექტის განხორციელებაში.

ანგარიშვალდებულია: ჰაგლერ ბაის პროექტის მენეჯერის წინაშე, რუსთავი

ხელმძღვანელობს: აღრიცხვის კომპიუტერის ოპერატორი
მრიცხველის წამკითხველი
ანგარიშების დამრიგებელი

მოვალეობანი:

1. მონაწილეობს პილოტ პროექტის სააღრიცხვო პროგრამის წესებისა და პროცედურების შემუშავებაში.

2. თვალყურს ადევნებს, რომ კომპიუტერის ოპერატორები მთელი სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობდნენ პილოტ პროექტზე და არ ასრულებდნენ კომპანიის ხელმძღვანელთა სხვა დავალებებს. ამოწმებს, რომ მათი ანაზღაურება შეესაბამებოდეს გაწეულ მუშაობას.

3. მონაწილეობს ანგარიშების წარდგენის განრიგის შედგენაში; ამოწმებს რომ ყოველდღიურად განრიგის მიხედვით მოხდეს წარსადგენი ანგარიშების მომზადება და მომხმარებელთათვის მათი დაგზავნა.

4. იმუშავებს მითითებებსა და პროცედურებს, რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს იმ მრიცხველთა ჩვენებების შეფასება, რომელთა წაკითხვაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხდა.

5. განიხილავს აღრიცხვიანობის სტატისტიკურ ანგარიშს, რომელიც მომზადდება ანგარიშების წარდგენის წინადღეს. საჭირო შემთხვევაში მოითხოვს დაშვებული შეცდომების გასწორებას.

6. განიხილავს ცალკეულ მომხმარებელთათვის არსებულ შეღავათებს და პერიოდულად ხელმეორედ განიხილავს ამ შეღავათების უფლებამოსილებას. ყოველთვიურად აკეთებს ანგარიშს ამოღებული ელექტროენერგიის საფასურის შესახებ.

7. მონაწილეობს მომხმარებელთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაში და საზოგადოებრივი სანფორმაციო საშუალებების გამოყენების პროგრამის შემუშავებაში.

8. განიხილავს შემთხვევებს, როცა მომხმარებელი დროულად არ იხდის გადასახადს; ამტკიცებს გასათიშ მომხმარებელთა სიას; მონაწილეობს გადახდის შესახებ ჩამოყალიბებული წესების ნებისმიერ ცვლილებაში.

9. რწმუნდება, რომ პროგრამის განხორციელება სწორი გზით მიდის და შეიძლება მისი გავრცელება მომხმარებელთა უფრო ფართო წრეზე. მონაწილეობს პროექტის შემდგომი გაფართოების გეგმის შემუშავებასა და შესაბამისი მომხმარებელთა ჯგუფის არჩევაში.

10. მონაწილეობს ელექტროენერგიის საფასურის გადასახდელი პუნქტების მოწყობაში; რწმუნდება, რომ ეს პუნქტები სათანადოდ იყოს აღჭურვილი და ფუნქციონირებდნენ მთელი სამუშაო დღის განმავლობაში.
11. მჭიდრო ურთიერთობა აქვს ჰაგლერ ბაის თანამშრომლებთან. სთავაზობს მათ პროცესის გაუმჯობესებისა და პრობლემათა გადაჭრის გზებს.

კვალიფიკაცია

ამ თანამდებობაზე აყვანილ პიროვნებას უნდა გააჩნდეს განაწილების კომპანიის აღრიცხვის სექტორში მუშაობის გამოცდილება.

ანაზღაურება

ხელფასი მიეცემა თვეში ერთხელ, მომდევნო თვის დასაწყისში.

მოსამსახურის მოვალეობათა აღწერა

ქვითრების დამრიგებელი

მიზანი:
ქვითრების დარიგება და სხვა ურთიერთკავშირის განხორციელება კომპანიასა და მომხმარებელს შორის.

ანგარიშვალდებულია:
1. პროექტის მენეჯერის წინაშე – ადმინისტრაციულ საკითხებზე
2. აღრიცხვის ზედამხედველის წინაშე – ყოველდღიური სამუშაოს დირექტივებზე

პერსონალურად ასრულებს:

1. ყოველ დღე მომხმარებლებს ადგილზე აწვდის წინა დღეს დამზადებულ ქვითრებს. თუ მომხმარებელი ადგილზე არაა, ტოვებს ქვითარს უსაფრთხო ადგილას შესასვლელთან, ქარისა და წვიმისგან დაცულ ადგილას.

2. თუ მოცემული ქვითარი მომზადებული იყო დახარჯული ელექტროენერგიის შეფასების მიხედვით (მრიცხველის წამკითხველს სახლში არავინ დახვდა), ხოლო ქვითრების დამტარებელს მომხმარებელი სახლში დახვდა, მაშინ იგი იწერს მრიცხველის ფაქტიურ ჩვენებას და გადასცემს აღრიცხვის ოფისს. მრიცხველის პრაქტიკულ და შეფასებულ ჩვენებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავების არსებობის შემთხვევაში მან უნდა ურჩიოს მომხმარებელს, მოითხოვოს ცვლილების შეტანა მიმდინარე თვის ქვითარში გადასახადის გადახდისას გადახდის პუნქტში. სხვა შემთხვევაში განსხვავებები ავტომატურად კომპენსირდება მომდევნო თვის ქვითარში.

3. მომხმარებელს საწიროებისამებრ აწვდის საინფორმაციო ან ინსტრუქციულ შეტყობინებებს. ეს მოიცავს მაგ. გამორთვის შეტყობინებას, გადახდის პუნქტთა ადგილმდებარეობას, შეტყობინებას განსაკუთრებული შემთხვევების შესახებ, წესების, პროცედურების ან ტარიფების ცვლილების შესახებ.

4. ათვალიერებს მომხმარებლის საცხოვრებელს უკანონო ან სახიფათო ელექტროგაყვანილობის შესახებ მონაცემების მოსაპოვებლად და თითოეული შემთხვევის შესახებ წერილობით ანგარიშს წარუდგენს აღრიცხვის ოფისს.

5. პასუხობს მომხმარებელთა კითხვებს ქვითრების, გადახდის პროცედურების და მომსახურების პირობების შესახებ. პასუხობს პერსონალურად ან მომხმარებელს აგზავნის შესაბამის ოფისში.

6. ეცნობა გადასახადთა ოფისის სხვა ფუნქციებს, მრიცხველების წაკითხვის, ქვითრების მომზადების და მოლარის ფუნქციების ჩათვლით, იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში შესძლოს დახმარების დროული გაწევა, თუ ეს ხელს არ უშლის პირდაპირ მოვალეობათა შესრულებას.

7. ასრულებს სხვა მოვალეობებს საჭიროების შემთხვევაში.

კვალიფიკაცია:

ამ თანამდებობაზე განპირობებული პიროვნებებს უნდა შეეძლოთ:

4. უნდა იცნობდეს რაიონს, შეეძლოს ქუჩების მიხედვით საჭირო მომხმარებელთა მოძებნა.
5. უნდა იცნობდეს მრიცხველების ტიპებს და გაყვანილობას, რათა გადახრების შესახებ აცნობოს კომპანიას.
6. უნდა შეეძლოს მომხმარებელთან ეფექტური მუშაობა ნორმალური პირობების დროს.

ანაზღაურება

ხელფასი მიეცემა თვეში ერთხელ, მომდევნო თვის დასაწყისში, წინა თვეში ნამუშევარი დღეების რაოდენობის მიხედვით.

მოსამსახურის მოვალეობათა აღწერა

მომსახურების ინსპექტორი

მიზანი:

ფიდერის ხაზების, შენობათა გაყვანილობის, მომხმარებელთა მომსახურების კავშირების და აღმრიცხველი ხელსაწყოების თვალყურის დევნება. განაწილების ქსელთან აღურიცხავი კავშირების მოშორება; ელექტრომიწოდების შეწყვეტა იმ მომხმარებელთათვის, რომლებიც არ იხდიან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს.

ანგარიშვალდებულია:

პროექტის მენეჯერის წინაშე

პერსონალურად ასრულებს:

1. ყოველ დღე სისტემატურად ამოწმებს გარკვეულ 0.4 კვ ფიდერებს, შენობების გაყვანილობებს და მომხმარებლთა კავშირებს. ატარებს მითითებისამებრ იმ მომხმარებელთა შემოწმებას, რომლებიც გათიშულნი იყვნენ არალეგალური შეერთებების ქონისა და მრიცხველების გაჩერების გამო.

2. არალეგალური შეერთებების აღმოჩენის შემთხვევაში, ადგენს ოქმს, მომხმარებელს აცნობს იმ სანქციებს, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ ამ შემთხვევაში.

3. თიშავს ყველა უკანონო გაყვანილობას და მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც ხდება აღურიცხავი ელექტროენერგიის მიწოდება მომხმარებელთათვის.

4. თიშავს იმ ინდივიდუალურ მომხმარებლებს, რომლებიც არ იხდიან ელექტროენეგიის საფასურს აღრიცხვიანობის ზედამხედველის მიერ დადგენილი წესების მიხედვით. ეს მოიცავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომ მომხმარებლებმა ვერ შეძლონ გაყვანილობის თვითნებურად უკან მიერთება.

5. აღადგენს მომსახურებას და თავიდან ამონტაჟებს მრიცხველებს მომხმარებლის მიერ საჭირო გადასახადების გადახდის შემდეგ აღრიცხვიანობის ზედამხედველის მიერ გაცემული მითითებებისამებრ.

6. ანგარიშს აბარებს საექსპლუატაციო და სარემონტო სამუშაოების მეთვალყურეს მწყობრიდან გამოსული და სახიფათო ხელსაწყოების შესახებ და შესაძლებლობის და გაცემული ინსტრუქციების მიხედვით ატარებს მცირე რემონტს.

7. პასუხობს მომხმარებელთა კითხვებს ქვითრების, გადახდის პროცედურების, მომსახურების პირობებისა და გათიშვის წესების შესახებ. პასუხობს

პერსონალურად სადაც შესაძლებელია, სხვა შემთხვევაში მომხმარებელს აგზავნის შესაბამის ოფისში.

8. ეცნობა გადასახადთა ოფისის სხვა ფუნქციებს, როგორიცაა მრიცხველების წაკითხვა და ანგარიშების დარიგება. საჭირო შემთხვევაში შეძლებისამებრ უწევს მათ დახმარებას, ისე რომ არ მოხდეს მისი ძირითადი საქმიანობის შეფერხება.

9. საჭიროების შემთხვევაში ასრულებს სხვა მოვალეობებსაც.

კვალიფიკაცია:

ამ თანამდებობაზე განპირობებულ პიროვნებებს უნდა შეეძლოთ:

1. უნდა იცნობდნენ რაიონს, შეეძლოს ქუჩების მიხედვით საჭირო მომხმარებელთა მოძებნა.
2. უნდა იცნობდნენ მრიცხველების ტიპებს და გაყვანილობას, რათა მიაკვლიონ არსებულ გადახრებს.
3. გარკვეული ცოდნისა და გამოცდილების ქონა გაყვანილობათა გაკეთებასა და მათ ამორთვაში.
4. უნდა შეეძლოთ მომხმარებელთან ეფექტური მუშაობა ნორმალური პირობების დროს.

ანაზღაურება

ხელფასი მიეცემა თვეში ერთხელ, მომდევნო თვის დასაწყისში, წინა თვეში ნამუშევარი დღეების რაოდენობის მიხედვით.

მოსამსახურის მოვალეობათა აღწერა

მოლარე

მიზანი:

ელექტროენერგიის საფასურის მიღება, მომხმარებელთათვის გადახდის შესახებ ქვითრების მიწოდება და მიღებული თანხის სწორად აღრიცხვა

ანგარიშვალდებულია:

1. პროექტის მენეჯერის წინაშე – ადმინისტრაციულ საკითხებზე
2. აღრიცხვიანობის ზედამხედველის წინაშე – ყოველდღიური სამუშაოს დირექტივებზე

პერსონალურად ასრულებს:

1. სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ყოველდღიურად ანხორციელებს გადასახადების მიღებას მომხმარებლებისაგან.

2. განსაზღვრავს მომხმარებლის მიერ გადასახდელი თანხის რაოდენობას, აკეთებს საჭირო ცვლილებებს, აძლევს გადახდის ქვითარს მომხმარებელს და ქვითრის მიღებულ ნახევარსა და შესაბამის თანხას მოათავსებს ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ყუთში.

3. დღის ბოლოს ან მის ნებისმიერ დროს (საჭიროების შემთხვევაში) ითვლის შემოსულ თანხას და ადარებს მას დატოვებულ ქვითრების რაოდენობას.

4. მიაქვს მიღებული თანხა და ქვითრები აღრიცხვის ზედამხედველთან გაცემული ინსტრუქციების მიხედვით. შეიძლება მოეთხოვოს ყოველდღიური ქვითრის შევსება მთელი მიღებული თანხის ჩვენებით.

5. პასუხობს მომხმარებელთა შეკითხვებს გადახდის პროცედურების, მომსახურეობის პირობების და გათიშვების შესახებ. პასუხობს პირადად შეძლებისამებრ, ან აგზავნის მომხმარებელს აღრიცხვის ოფისში.

6. ეცნობა აღრიცხვიანობის ოფისის სხვა ფუნქციებს. საჭირო შემთხვევაში შეძლებისამებრ უწევს მას დახმარებას, ისე რომ არ მოხდეს მისი ძირითადი საქმიანობის შეფერხება.

9. საჭიროების შემთხვევაში ასრულებს სხვა მოვალეობებსაც.

კვალიფიკაცია:

ამ თანამდებობაზე განპირობებულ პიროვნებებს უნდა შეეძლოთ:

1. სწრაფად და ხარისხიანად უნდა შეეძლოს ფულთან ოპერირება.
2. შეეძლოს ელექტრონული კალკულატორისა და სხვა ტექნიკის ხმარება.
3. ჰქონდეს სხვისთვის გასაგები ხელწერა.

4. უნდა შეეძლოთ მომხმარებელთან ეფექტური მუშაობა ნორმალური პირობების დროს

ანაზღაურება

ხელფასი მიეცემა თვეში ერთხელ, მომდევნო თვის დასაწყისში, წინა თვეში ნამუშევარი დღეების რაოდენობის მიხედვით.

მოსამსახურის მოვალეობათა აღწერა

კომპიუტერის ექსპერტი

მიზანი:
დაეხმაროს ჰაგლერ ბაის პილოტ პროექტის განხორციელებაში.

ანგარიშვალდებულია:
ჰაგლერ ბაის პროექტის მენეჯერის (თბილისი) წინაშე
ჰაგლერ ბაის პროექტის მენეჯერის (რუსთავი) წინაშე

პერსონალურად ასრულებს:

1. მონაწილეობს კომპიუტერული ოპერატორების შერჩევაში. რწმუნდება, რომ არჩეულ პერსონალს ნორმალურად შეუძლია კომპიუტერთან მუშაობა. ამოწმებს, რომ მთელი სამუშაო დრო მოხმარდეს პროექტზე მუშაობას.

2. მონაწილეობს კომპიუტერული ტექნიკის დამონტაჟებაში და პროგრამული უზრუნველყოფის ჩატვირთვაში; უნდა იცნობდეს აღრიცხვის პროგრამას.

3. უნდა დარწმუნდეს, რომ შესაძლებელია ქართულ ენაზე მონაცემთა შეყვანა და ანგარიშებისა და ქვითრების ამობეჭდვა.

4. ყურადღება უნდა მიაქციოს რომ დენის ლოკალურმა წყაროებმა (UPS) ნორმალურად იფუნქციონირონ; ყოველდღიურად მოხდეს მიღებული ინფორმაციის დუბლიკატის გაკეთება.

5. თვალყურს ადევნებს აპარატურის ნორმალურად მუშაობას. ასწორებს პროგრამულ ხარვეზებს და შეძლებისდაგვარად მიუთითებს აპარატურის ხარვეზზე.

6. კომპიუტერული ქსელის არსებობის შემთხვევაში თვალყურს ადევნებს ქსელის სწორად მუშაობას.

7. თვალყურს ადევნებს კომპიუტერისათვის საჭირო მასალების ქონას (დისკეტები, პრინტერის ლენტები, ქარალდი და სხვა) და მონაწილეობს მათ შესყიდვაში.

8. რწმუნდება, რომ პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელება მომხმარებელთა უფრო ფართო ჯგუფზე მიზანშეწონილია.

9. მჭიდრო კავშირი აქვს ჰაგლერ ბაის თანამშრომლებთან. სთავაზობს პრობლემების გადაწყვეტისა და გაუმჯობესების გზებს.

კვალიფიკაცია:

ამ თანამდებობაზე განპირობებულ პიროვნებებს უნდა შეეძლოთ:

- კარგად იცნობდეს კომპიუტერულ ტექნიკას, მის დაყენებას, ქსელთან მუშაობას და ძირითად პროგრამულ უზრუნველყოფას.

- ჰქონდეს გამოცდილება განაწილების კომპანიაში მუშაობისა.

ანაზღაურება

ხელფასი მიეცემა თვეში ერთხელ, მომდევნო თვის დასაწყისში, წინა თვეში ნამუშევარი დღეების რაოდენობის მიხედვით.

მოსამსახურის მოვალეობათა აღწერა

საინჟინრო საქმის სპეციალისტი

მიზანი:
დაეხმაროს ჰაგლერ ბაის პილოტ პროექტის განხორციელებაში

ანგარიშვალდებულია:
ჰაგლერ ბაის პროექტის მენეჯერის (თბილისი) წინაშე
ჰაგლერ ბაის პროექტის მენეჯერის (რუსთავი) წინაშე

ხელმძღვანელობს: მრიცხველის წამკითხველს
მომსახურეობის ინსპექტორს
მრიცხველის დამყენებელს
გაყვანილობათა გამყვანს

პერსონალურად ასრულებს:

1. გეგმავს და კოორდინაციას უკეთებს პილოტ პროექტის ფარგლებში გარე ტერიტორიაზე (ადგილზე) განსახორციელებელ სამუშაოებს.

2. მონაწილეობს მომხმარებელთა ინფორმირებაში პილოტ პროექტის მიზნების შესახებ.

3. მონაწილეობს გარე სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო პერსონალის შერჩევაში: მრიცხველების წამკითხველები, მომსახურეობის ინსპექტორები, მრიცხველების დამყენებლები და გაყვანილობათა გამკეთებლები. ამოწმებს, რომ მათი მთელი სამუშაო დრო ეთმობოდეს პილოტ პროექტს და გადახდილი თანხა შეესაბამებოდეს შესრულებულ სამუშაოს.

4. მონაწილეობს პილოტ პროექტის მომხმარებელთა ჯგუფის შერჩევასა და გადასახდელი პუნქტების სათანადოდ მოწყობაში.

5. მჭიდრო კავშირი აქვს ჰაგლერ ბაის თანამშრომლებთან. სთავაზობს პრობლემების გადაწყვეტისა და გაუმჯობესების გზებს.

6. თვალყურს ადევნებს გარე სამუშაოების განმხორციელებელი პერსონალის საქმიანობას; რწმუნდება, რომ დაცული იყოს შესაბამისი გრაფიკი და უწევს მათ საჭირო დახმარებას.

7. ეცნობა კომპიუტერული აღრიცხვის პროგრამის დანერგვის მიზნებს; უზრუნველყოფს ველზე მომუშავე პერსონალის საქმიანობის შეთანხმებას აღრიცხვის პროგრამასთან, ურჩ გადამხდელთა გათიშვებს და მათ კვლავ მიერთებას საფასურის გადახდის შემდეგ.

8. იმუშავებს მითითებებს მომხმარებელთა მიერთებების პერიოდულად შესამოწმებლად; არალეგალური მიერთებების გადაჭრის წესებსა და პროცედურებს; ურჩ გადამხდელ მომხმარებელთა ამორთვის პროცედურებსა და მეთოდებს; ჰაგლერ ბაის წარუდგენს შესასყიდ საჭირო მოწყობილობათა და ინსტრუმენტების სიას.

9. იმუშავებს მითითებებს ამორთულ მომხმარებელთა უკან მიესაერთებლად; ჰაგლერ ბაის წარუდგენს ამისათვის საჭირო შესასყიდ მოწყობილობათა და ინსტრუმენტების სიას.

10. მოამზადებს პილოტ პროექტისათვის საჭირო რუქებს, ქუჩების, სახლების, სატრანსფორმატოროების (მათი რიცხვისაც) ჩვენებით. მოამზადებს 110კვ ქვესადგურებიდან გამომავალი 6კვ ქსელების დიაგრამას 0.4კვ ფიდერების ჩვენებით.

11. რეკომენდაციას იძლევა თუ რომელ 6კვ და 0.4კვ ფიდერებზე უნდა დადგეს საკონტროლო მრიცხველები. ჰაგლერ ბაის წარუდგენს ამისათვის საჭირო შესასყიდ მოწყობილობათა და ინსტრუმენტების სიას.

12. ამოწმებს პროგრამის სიახლენი მართებულია თუ არა დაინერგოს მომხმარებელთა სხვა ჯგუფებისათვისაც; შეზღუდული დაფინანსების პირობებში რამდენად შეიძლება ასეთი პროგრამის გაფართოება.

13. მჭიდრო კონტაქტი ექნება ჰაგლერ ბაის ხელმძღვანელობასთან. შესთავაზებს მათ პრობლემების გადაჭრისა და პროგრამის შემდგომი დახვეწის გზებს.

კვალიფიკაცია:

ამ თანამდებობაზე განპირობებულ პიროვნებებს უნდა გააჩნდეს განაწილების კომპანიის ინჟინრად მუშაობის გამოცდილება და ხელმძღვანელობის უნარი.

ანაზღაურება

ხელფასი მიეცემა თვეში ერთხელ, მომდევნო თვის დასაწყისში.